დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **დავით ლიპარტელიანი**

წევრები:

თამარ ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ეთერ ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ეკა სიმსივე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა წიკლაური - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**206031881**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
იურიდიული მისამართი	**ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ.**
ფაქტობრივი მისამართი	**ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ. (ჯუმბერ ლეჟავას 7)**
საფოსტო ინდექსი	**0190**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/schools/254?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96163%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Tbilisi163@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**032 2 78 51 71** **577133240**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 5 23 0000964051; 04/08/2023**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**2023 წლის 27 და 28 სექტემბერი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური**	**ქართული**	**ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ.**
2	**ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საბაზო საგანმანათლებლო საფეხური**	**ქართული**	**ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ.**
3	**ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საშუალო საგანმანათლებლო საფეხური**	**ქართული**	**ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ.**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში წარიმართა სასიამოვნო, კომფორტულ და პროფესიონალურ გარემოში. სკოლის დირექტორს ჰქონდა თითქმის ყველა დეტალზე ინფორმაცია. მასწავლებლებთან საუბრისას იგრძნობოდა სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, მათ მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაწეული საქმიანობისადმი თბილი დამოკიდებულება და საქმის სიყვარული. ვიზიტი დაწყებიდან დასრულებამდე მიმდინარეობდა შეუფერხებლად და საქმიანად. დაწესებულების წარმომადგენლები ყურადღებით ისმენდნენ ექსპერტთა შეფასებებს და რჩევებს, მათი დიდი ნაწილი გაითვალისწინეს საქმიანობის დაგეგმვის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- ✓ დაწესებულებას აქვს საცურაო აუზი, რომელიც იჯარით აქვს გაცემული. აღნიშნული აუზით სარგებლობენ როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე თემში მცხოვრები ბავშვებიც.
- ✓ აღსანიშნავია ინკლუზიური განათლების პროცესი. სპეც. მასწავლებლები და ასისტენტები, ორიენტირებულნი არიან თითოეული სსსმ მოსწავლის საუკეთესო ინტერესზე. სკოლას აქვს ორი რესურს ოთახი და 30-ზე მეტი სსსმ მოსწავლე. სკოლა ზედმიწევით აწარმოებს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების მაქსიმალურ ინტეგრაციას.
- ✓ აქვე აღსანიშნავია სკოლაში არსებული საქმისწარმოება. სკოლაში ხდება ყველა დოკუმენტაციის წარმოება და აღრიცხვა როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. სკოლას განსაკუთრებით კარგად ჰქონდა მოწყობილი არქივი. სკოლაში ინახება ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დოკუმენტაცია სკოლის დაარსების დღიდან. ჟურნალები დალაგებულია წლების მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა უმარტივესად მოხდეს საჭირო ინფორმაციის მოძიება.

- ✓ განსაკუთებით აღნიშვნის ღირსია სკოლის მიერ ჩატარებული კვლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების დასადგენად, რომლის საფუძელზეც სკოლამ შეიმუშავა არაერთი სასკოლო დოკუმენტი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3	**■ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1850	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის პროგრამა

საბაზო საფეხურის პროგრამა

საშუალო საფეხურის პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*2024 წლის 01 ოქტომბრამდე შემოიღობოს სკოლის პერიმეტრი;* *2024 წლის 01 ოქტომბრამდე ლაბორატორიაში დამონტაჟდეს ონკანი, ნიჟარა და გამწოვი კარადა;* *2024 წლის 01 ოქტომბრამდე დამონტაჟდეს სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, ავარიული და საევაკუაციო განათების სისტემა, სახანძრო-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემა და დაწესებულებამ წარმოადგინოს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული დასკვნა, ზემოაღნიშნული სისტემისადმი არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.*
3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*2024 წლის 01 ოქტომბრამდე, მოხდეს გარემოს ადაპტირება ეტლით მოსარგებლე პირებისათვის (დამონტაჟდეს პანდუსი ან ლიფტი).*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სკოლამ შეიმუშავოს სკოლის მისია და ხედვა ისე, რომ იყოს ლაკონური, საზოგადოებისათვის ცხადი და ამავე დროს არ დაიკარგოს მისი შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.1.2.6.	*სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.*	*სასურველია სკოლამ ცხადად გაწეროს წარმატების აღიარების და წახალისების კრიტერიუმები, რათა დაცული იყოს ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და თანასწორობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სასურველია უმოკლეს ვადებში მოხდეს ვიდეო კამერების დამონტაჟება ისე, რომ კონტროლდებოდეს სკოლის მთელი შიდა და გარე სივრცეები.* *სასურველია რაც შეიძლება მოკლე ვადებში შესრულდეს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები*
3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*წიგნადი ფონდი უფრო ხშრად და მეტი რაოდენობით განახლდეს, ხოლო განახლება ხდებოდეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე ყველა წიგნი, რომელიც არის სკოლის საკუთრებაში დამუშავდეს შესაბამისი წესით.*
3.6.2.4	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.*	*საქმისწარმოების წესში განისაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორცეილდება პროცესები.*
3.7.1.2	*სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*შეიმუშავოს ფინანსური რესურსების მართვისათვის შემუშვებული დოკუმენტი სადაც გაწერილი იქნებოდა დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგი ს პროცედურები. სადაც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პროცედურებიც.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
4.1.1.1.	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული*	*განისაზღვროს და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	
4.1.1.2.	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;*	*მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი და ყველა ის დოკუმენტი რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დაცვას, განთავსებული იყოს სკლის ვებ-გვერდზე.*
4.1.2.1.	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;*	*მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი სრულად მოერგოს საჯარო სკოლას.*
4.1.2.3.	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე.*
4.1.2.4.	*სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი,*	*სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ინტერნეტ სივრცეში, ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.	*კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით.*
4.2.1.1.	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	*სკოლის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც წარმოადგენს სკოლის კულტურის ნაწილს ასახოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესში.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	*რჩევა*
2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, ყველა ცნებაზე გაიწეროს კომპლექსური დავალების იდეა, მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ მაგალითებითა და მაგალითები შედარებისთვის.* *მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში ქვეცნებებთან ერთად გაიწეროს სამიზნე ცნებები.* *უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: კათედრას შემაჯამებელ ოქმში მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გაწერილი აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, რაზეც მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება განხორციელდეს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. სასურველია, აღნიშნული გაითვალისწინოს სკოლამ, სამივე საფეხურზე;* *ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: მუსიკის კურიკულუმებში, იმ თემებში, სადაც ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, სკოლამ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		უნდა შეიტანოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. *ხელოვნების კურიკულუმებში ქვეცნებები სკოლამ შეიტანოს მთლიანად (და არა მხოლოდ მათი ნუმერაცია). გაითვალისწინოს, რომ მე-5 კლასში ხელოვნებაში არის არა ოთხი, არამედ ხუთი სამიზნე ცნება. იმ თემებში, სადაც ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, უნდა შეიტანოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითები.* *სპორტის ექსპერტის რჩევა: ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში საჭიროა შემცირდეს თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგებს, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის საათობრივ ბადიდან გამომდინარე და სრულად განახორციელონ იმ თემების შესწავლა რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.*
2.1.2.2.	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად და არა მხოლოდ ნაწილი.*
2.1.2.3.	*სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;*	*უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: საგნის გეგმაში ასახოს ყველა ის ძირითადი კომპონენტი, რასაც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: სტრუქტურირებულად ასახოს ზოგადი ინფორმაცია, ისგ ჯგუფის შეხვედრების კალენდარი და მონაცემები სასწავლო პროცესის შესახებ და მკაფიოდ გამოკვეთოს მოსწავლის აკადემიური და განვითარების სფეროების მიხედვით ძლიერი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

		მხარეებისა და საჭიროებების აღწერა. ამას გარდა, მოახდინოს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა (საგანში) და მიუთითოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები.
2.1.2.4.	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ასახონ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და მიმართონ მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)**	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა: სრულად გაიწეროს საბაზო საფეხურზე მოქალაქეობის, ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები. ყველა ცნება დამუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებებით, რადგან სამივე საგნის კურიკულუმებში ერთ ან ორ ცნებაზეა წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. კურიკულუმების დანერგვის დროს გამოყენებული იყოს იმაზე მეტად მრავალფეროვანი რესურსები, რაც ახლაა მოაზრებული* *გეოგრაფიის კურიკულუმში გაიწეროს მაგალითები შედარებისთვის, მითითებული საკითხების და კონტექსტ მაგალითების უკეთ გასააზრებლად.* *მოქალაქეობის კურიკულუმებში კონტექსტ მაგალითები უმეტესად სახელმძღვანელოებიდანაა წარმოდგენილი, კარგი იქნება თუ მასწავლებლები დაიხმარენ სიტუაციებს/ქეისებს/კონტექსტ მაგალითებს ქოუჩინგის პროცესში*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

		შეთავაზებული ქეისების ბანკიდან, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ საკითხების უკეთ გააზრებას. *ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, იქ, სადაც ხორციელდება კომპლექსური დავალებები, უნდა შეიტანოთ ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები.* *სპორტის ექსპერტის რჩევა: ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, საჭიროა შემცირდეს თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგებს, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის საათობრივ ბადიდან გამომდინარე, სრულად განახორციელონ იმ თემების შესწავლა, რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.*
N2.1.2.2.	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ინგლისური ენის მე-7 და მე-9 კლასისა და რუსული ენის მე-9 კლასის ჩარჩოებში, იმ თავებში, სადაც ხორციელდება კომპლექსური დავალებები, ნაკლებად იკვეთება ცნება „ კულტურათა დიალოგი“ . ასევე , კომპლექსური ბუნების მქონე დავალებით მუშავდება შერჩეული თემის მხოლოდ ნაწილი და არა სრულად თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად და არა მხოლოდ ნაწილი.*
N2.1.2.4.	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კრიტერიუმების და არა დონეების მიხედვით, როგორც წარმოდგენილია ჩართულობის შეფასების რუბრიკაში. აგრეთვე,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

		საკლასო აქტივობის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში დონეები და შესაბამისი ქულები გაიწეროს და გადანაწილდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით/შესაბამისად. *მე-9 კლასის ისტორიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ცნებებს მინიჭებული აქვთ განსხვავებული ქულობრივი მაჩვენებელი, არ ჩანს რის საფუძველზე, აგრეთვე გასათვალისწინებელია რომ ქულების განაწილებას ცნებებზე ვიწყებთ 4 ქულის ზემოთ.* *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში მოაზრებული კომპლექსური დავალებებისათვის, აგრეთვე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ყველა თემის ბოლოს.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)**	**რჩევა**
ინდიკატორი N2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა: გეოგრაფიის, ისტორიის და მოქალაქეობის კურიკულუმები გაიწეროს სრულად /გაწერილია ნაწილობრივ, თუმცა ქოუჩინგის შედეგად შექმნილ მე-12 რესურსში სამივე საგნის მასწავლებლებს აქვთ ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც 2023 წლის სექტემბრისთვის ყველა საგნის ყველა კლასის კურიკულუმი სრულად უნდა ყოფილიყო გაწერილი/ გეოგრაფიის კურიკულუმში როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ გაწერილ გრაფებში დაემატოს მაგალითები შედარებისთვის. ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმებში ყურადღება მიექცეს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

N2.1.2.2.	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ინგლისური ენის მე-11 კლასის ჩარჩო არ არის სრულყოფილად შევსებული და არ ჩანს წლის მანძილზე გასავლელი ყველა თემა და მე-12 კლასის რუსული ენის ჩარჩოში, იმ თავში, სადაც ხორციელდება კომპლექსური დავალება, არ მუშავდება ცნება „ კულტურათა დიალოგი“. აღნიშნულთან დაკავშირებით, მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ ჩარჩოებში აისახოს წლის მანძილზე გასავლელი ყველა თემა და თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება.*
N2.1.2.4.	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა: საგნებში ისტორია და გეოგრაფია /საგან მოქალაქეობის მსგავსად/ გაიწეროს განმსაზღვრელი შეაფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმები მიმართული იქნება ცნებასა და შედეგების შეფასების ინდიკატორებზე. ასევე გაიწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საგანში.*
N2.2.2.2	*საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;*	*საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა: დაიგეგმოს და განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი პროექტი და აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს სხვა ადამიანების პოზიციის გაცნობიერებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას, თანაგრძნობის გამოხატვას, საკუთარი ემოციების ამოცნობას და მართვას, ღირებულებებზე დაფიქრებას, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, პოზიტიურ კომუნიკაციას.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინდა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინდა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მისიად განსაზღვრული აქვს

- მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინკლუზიური, მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნა;
- სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის მომზადება ცხოვრების შემდგომი ეტაპისათვის საჭირო შესაბამისი უნარებით;
- მოსწავლეთათვის თავისუფალ და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური, სოციო-ემოციური, ფიზიკური უნარების განვითარებაზე;
- მოსწავლეთათვის ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის, ინოვაციებისადმი სწრაფვის, ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- მოსწავლეთა მომზადება განათლების მომდევნო საფეხურის, კარიერის, საქმიანობის დაგეგმვის, კონკრეტულ სამყაროსთან ადაპტირებისა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, სხვადასხვა გამოწვევასთან გამკლავებისათვის;
- მოსწავლეთათვის არაფორმალური განათლების მხარდაჭერა;

სკოლის ხედვას წარმოადგენს

- სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, საინტერესო სასკოლო კლიმატი.
- სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლე არის თავისუფალი, მოტივირებული, თავდაჯერებული, დაფასებული, შემდგარი ღირსეული პიროვნება და მოქალაქე.
- მოსწავლეებში მაღალია ეროვნული ცნობიერება, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა.
- სკოლა მუდმივად ზრუნავს თითოეული მოსწავლის ჯანსაღი ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის, ხელს უწყობს მომავალი თაობის თავისუფალ და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
- სკოლაში შექმნილია ჯანსაღი, ჰარმონიული, პოზიტიური, ტოლერანტული, ურთიერთთანამშრომლობითი, საინტერესო და ინკლუზიური, ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო.
- სკოლის კულტურა ხელს უწყობს თემის აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ღირებულებები

მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განსახორციელებლად სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ცალკეულმა თანამშრომელმა ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებითა და მიდგომებით:

- პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მოსწავლეთა შორის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება
- განსხვავებული აზრის პატივისცემა, მოსწავლეთათვის თანასწორობის განცდის ჩამოყალიბება, დემოკრატიული ფასეულობებისადმი პატივისცემა
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, განმტკიცება (პატიოსნება, ტოლერანტობა, საიმედოობა)
- მიუკერძოებლობა, ერთგულება
- ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება

აღსანიშნავია, რომ მისიაც, ხედვაც და ღირებულებებიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში ჩატარდა სასკოლო თემის გამოკითხვა და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძელზე შედგა ზემოაღნიშნულის შემუშავება. მისიის და ხედვის შინაარსი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა მისი სტრუქტურა უფრო მეტად მიზნებს წარმოადგენს ვიდრე სკოლის ხედვასა და მისიას. დაწესებულებას მიეცა რჩევა შეიმუშავოს სკოლის მისია და ხედვა ისე, რომ იყოს ლაკონური, საზოგადოებისათვის ცხადი და ამავე დროს არ დაიკარგოს მისი შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

2. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები (სკოლის მიერ შემუშავებულია არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების ხედვა და მექანიზმი, სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები). სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხლავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლისას. სკოლაში არის სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, საცურაო აუზი. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით, სკოლის ეზოს რეაბილიტაცია დაგეგმილია 2024 წელს, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში, აღნიშნულ ვადად განსაზღვრული იყო 2023 წლის ზაფხული. მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განსახორციელებლად სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მთლიანობაში და მისმა ცალკეულმა თანამშრომელმა ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებითა და მიდგომებით:

- პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება
- მოსწავლეთა შორის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება
- განსხვავებული აზრის პატივისცემა, მოსწავლეთათვის თანასწორობის განცდის ჩამოყალიბება, დემოკრატიული ფასეულობებისადმი პატივისცემა
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, განმტკიცება (პატიოსნება, ტოლერანტობა, საიმედოობა)
- მიუკერძოებლობა, ერთგულება
- ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება

3. სკოლა ახორციელებს და მხარს უჭერს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს მოსწავლეთა პიროვნული ზრდისა და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის, სოციუმში ადგილის დამკვიდრებისთვის. გასულ სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა პროექტები: ,,ჯანსაღი ცხოვრების დაცვა“, ,,ადამიანის უფლებები და მოვალეობები“, ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“, რომელშიც ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება და თემი. სასკოლო საზოგადოება ასევე ჩართული იყო სკოლის მისიის და ხედვის შემუშავებაში. დაწესებულებამ გასულ სასწავლო წელს ჩაატარა სასკოლო საზოგაოდების გამოკითხვა, რომლის საფუძელზეც შემუშავდა სკოლის მისია და ხედვა. კვლევაშ ჩართულები იყვნენს სკოლის მოსწავლეები, მშობლები და სკოლის თანამშრომლები. შეგროვებული მონაცემები დამუშავდა, რის საფუძელზეც საბოლოოდ ჩამოყალიბდა სკოლის მისია და ხედვა.

4. სკოლამ წარმოადგინა ჩატარებული კვლევის მასალები, სადაც ჩანდა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრების მონაწილეობა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სასკოლო საზოგადოებას გაზიარებული აქვს მისია, ხედვა ღირებულებები.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ტერმინს სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლის სახელწოდებას, რომელიც დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N194 2007 წლის 16 მარტი საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილება N43, 27 მაისი 2011წელი.).

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *დირექტორის ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;*
- *სკოლასა და დარაჯს შორის დადებული ხელშეკრულება;*
- *სკოლაში გადაადგილების საშვის ფორმა;*
- *სასკოლო პროექტები;*
- *კვლევის კითხვარის ლინკი;*
- *2022-2023 სასწავლო წლის მშობელთა კრების N1 ოქმი;*
- *საკრებულოს დადგენილება სკოლის სახელწოდების მინიჭების შესახებ;*
- *განხორციელებული კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია.*
- *სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც გაწერილია 2023-2030 წლების სკოლის სტრატეგიულ გეგმაში. მეთოდოლოგია მოიცავს: *გუნდის შექმნას და ჩამოყალიბებას, მონაცემების შეგროვებას და საჭიროებების შეფასებას, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება/გადახედვას, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასახვა/გადახედვას, სამოქმედო გეგმების შემუშავებას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის შემუშავებას, კომუნიკაციას და გამჭვირვალობას.* აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინდა სკოლაში ჩატარებული კვლევის მასალებიც, რომელთა დამუშვების შედეგად სკოლაში შემუშვდა არაერთი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სკოლის უწყვეტი განვითარებისთვის სკოლა ეყრდნობა ედვარდ დემინგის (Edward Deming) მიერ შემუშავებულ სრატეგიული დაგეგმარების ჩარჩოს, რომელიც 4 თანმიმდევრული და განმეორებადი ნაბიჯისგან შედეგება "დაგეგმვა, განხორციელება, შესრულება და რევიზია". აქედან გამომდინარე პროცესიც არის ციკლური.

3. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი აქტივობები, ვადები, რესურსები და პასუხისმგებელი პირები. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რეალისტურია და მათი განხორციელება შესაძლებელია განსაზღვრულ ვადებში განსაზღვრული რესურსებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *2023-2030 სტრატეგიული გეგმა*
- ✓ *2023-2024 სამოქმედო გეგმა*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით: *„სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს შეისწავლოს სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესი, მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ გამოავლინოს არსებული გამოწვევები და განახორციელოს სტრატეგიაში შესაბამისი ცვლილებები. დირექტორის ბრძანებით მტკიცდება მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მთლიან პროცესს: სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას, მიზნების მიღწევას, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროებას და სხვა შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება სამოქმედო გეგმის ინდიკატორების საფუძველზე. თითოეულ ინდიკატორს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქვს დადასტურების წყარო. სკოლა ორგანიზაციულ დრაივზე შექმნის პრიორიტეტული მიმართულებების, ამოცანების, საქმიანობებისა და ინდიკატორების საქაღალდეებს და ინდიკატორების დადასტურების წყაროებს საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები სწორედ შესაბამისი ინდიკატორის საქაღალდეში მოათავსებენ დადასტურების წყაროს. დადასტურების წყარო შესაძლოა იყოს ოქმი, სურათი, შევსებული კითხვარი, გაკვეთილის გეგმა, ანგარიში და სხვა. ინდიკატორების მონიტორინგი მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის დასასრულს. ინდიკატორების მონიტორინგის შედეგად, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირის / ჯგუფის მიერ მოხდება სტრატეგიის შესრულების ანგარიშების მომზადება - შუალედური ანგარიში მომზადდება პირველი სემესტრის ბოლოს, ხოლო საბოლოო ანგარიში მომზადდება აკადემიური წლის ბოლოს.“*

2. სკოლამ წარმოადგინდა ჩატარებული კვლევის მასალები, სადაც ჩანდა სასკოლო საზოგადოების ხედვები, სურვილები და ინტერესები. აღნიშნული სკოლის მიერ გათვალისწინებული იქნება არაერთი დოკუმენტის შემუშავების დროს.

3. სკოლის თვითშესაფების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების, საჯაროობას უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე დოკუმენტების წარდგენით, ასევე დაგეგმილი აქვს დამატებითი არხების ამუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კერძოდ სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას განთავსება, ასევე სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია დირექტორის მოხსენება და 2022 წლის 10 დეკემბრის ანგარიში.

4. განვლილი წლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების შესწავლა, გაანალიზება, ძირითადად ხდება სასწავლო წლის დასასრულს, რათა მიღებული შედეგები შეძლებისდაგვარად დაედოს საფუძვლად შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ეს პროცესები საჭიროებს გაღრმავება-გაძლიერებას, სისტემურობას, კვლევითი და ანალიტიკური მუშაობის ტრადიციების დამკვიდრებას, რაზეც სკოლა იზრუნებს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისითვის და ასევე ყოველი შემდეგი სასწავლო წლის განმავლობაში, რათა სკოლა მუდმივად ორიენტირებული იყოს შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *2021-2022 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმი;*
2. *დირექტორის ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ.*
3. *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
4. *2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;*
5. *2023-2030 სტრატეგიული გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების ორგანიზაციული სტრუქტურა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულ პირებთან დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. პერსონალის ცოდნისა და გამოცდილების, მასთან გასაუბრების შემდეგ დირექტორი ხელშეკრულებით განსაზღვრავს თითოეულისათვის ფუნქცია-მოვალეობებს. შეიმუშავებს ხელშეკრულების ფორმას, სადაც დეტალურადაა გაწერილი პერსონალის ფუნქციები. ხელშეკრულებას ეცნობა პერსონალი, შეთანხმდება ხელშეკრულების პუნქტებზე, რომელსაც ორივე მხარე ხელმოწერით ადასტურებს. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის ბრძნება „თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების“ დამტკიცების შესახებ. სადაც გაწერილია სკოლის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად.

2. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება არსებული სტრუქტურული და ორგანიზაციული ერთეულების ჩართულობით. თანამშრომლების ფუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია მათი ხელშეკრულებებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *სკოლის შინაგაწესი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. *დასაქმებულ პირებთან დადებული ხელშეკრულებები;*
3. *ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის გრძანება;*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოქმედი კანონმდებლობით, დადებული შრომითი ხელშეკრულებებითა და შინაგანაწესზე დაყრდნობით ახორციელებს პერსონალის მართვას. თანამშრომელთა შორის გადანაწილებულია ფუნქციები. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისებისა და სანქცირების წესი. ასევე განსაზღვრულია შრომითი პირობები. წახალისების ფორმად გამოყენებულია მადლობის სიგელი, სიტყვიერი შექება, პრემია. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის შიდა პოლიტიკის მართვის წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია ისეთ საკითხები როგორიცაა: **შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, კონკურსის გამოცხადება, კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ასევე სკოლის ადმინისტრაციისა და ტექ. პერონალის ფუნქცია მოვალეობები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია ისეთი საკითხები როგორიცაა: თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკონკურსო პირობები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება და თანამშრომელთა მოტივაცია

3. სკოლას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის წესი, ობიექტურობის, გამჭვირვალეობის, საჯაროობის, კოლეგიალობის გათვალისწინებით. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ცხადდება კონკურსი ვებგვერდზე https://teacherjobs.ge/, სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. იწერება საკონკურსო კომისიის ბრძანება, განისაზღვრება კომისისს წევრთა შემადგენლობა (სკოლის მასწავლებლების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა სახლის, პროფესიული კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით). საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე გადაარჩევს შემოსულ განაცხადებს გამოცხადებული კრიტერიუმების შესაბამისად. გასაუბრებაზე მოსაწვევად ხორციელდება კონტაქტი აპლიკანტთან. კომისიას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარი, რომლის მიხედვითაც ხდება კონკურსანტების შეფასება. კონკურსის დასრულების შემდეგ საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთან იდება ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით.

4. სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ სკოლის პერსონალი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციისათვის.

5. სკოლის მართვის ეფექტიანობას განსაზღვრავს პერსონალის მაღალი ჩართულობა და თანამშრომლობითი გარემო, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე, კოლეგიალობასა და გუნდურობაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დამოუკიდებლად ღებულობენ გადაწყვეტილებებს, ყოველგვარი ჩარევის გარეშე მათი უფლებების ფარგლებში, თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ საერთო, ინტეგრირებულ ღონისძიებებს, პროექტებს, კონფერენციებს. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარებული კვლევის მონაცემები, საიდანაც დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია სასკოლო ცხოვრების დაგეგმვის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კვირეული, რომლის ფარგლებშიც იმართება, სამოდელო გაკვეთილები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონფერენციები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმის ჩვენება ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ, ესეებისა და ჩანახატების კონკურსები, იდგმება ლიტერატურულ-მუსიკალური სპექტაკლები, კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებში დაიდგა ,,ექვთიმე ღვთის კაცი", ,,შელოცვა რადიოთი" და სხვა. სკოლა მიიჩნევს, რომ წარმატების აღიარება მნიშვნელოვანია სკოლის ეფექტიანობის და სასკოლო საზოგადეოების განვითარებისთვის, რომელსაც არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. სკოლას აქვს Facebook გვერდი სადაც განთავსებულია ყველა იმ აქტივობის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო-ვიდეო მასალა, რაც ხორციელდება სკოლის ბაზაზე (მშობელთან დადებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით). სკოლის პედაგოგეგბი აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს და სხვა სკოლის პედაგოგეგებს თავიანთ გამოცდილებას. ეს ხდება კონფრენციებზე, ფორუმებზე, ოლიმპიადებზე, პროექტის ღონისძიების, ტესტის და სხვათა სახით. მასწავლებლები ჩართული არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების გამოცხადებულ აქტივობებში და შესაბამისად გადაეცემათ სერთიფიკატები და დიპლომები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არის წახალისების მექანიზმები, თუმცა აღნიშნული მექანიზმები არ არის გამჭვირვალე. სკოლას არ აქვს გაწერილი წარმატების აღიარების და წახალისების ფორმების ცხადად გაწერილი კრიტერიუმები, რაც ბუნდოვანს ხდის წახალისების ობიექტურობას, სამართლიანობას და თანასწორობას. დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ შეიმუშავოს წახალისების (მათ შორის თანამშრომელთა) მკაფიო და გამჭვირვალე როგორც კრიტერიუმები, ასევე წახალისების ფორმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;*
2. *მადლობის სიგელი;*
3. *შინაგანაწესი;*
4. *მასწავლებლის მიღების საკონკურსო კომისიის დებულება;*
5. *ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. *საკონკურსო კომისის მიერ პედაგოგის შერჩევის ოქმი;*
7. *მშობელთა კრების ოქმი N1;*
8. *განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების გამოცხადებულ აქტივობებში მიღებული სერთიფიკატები და დიპლომები;*
9. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი სადაც გაწერილია თანამშრომელთა შეფასების მექანიზმები. საკოლო ცხოვრებაზე დაკვირვების და სკოლაში არსებული მტკიცებულებების საფუძელზე დადგინდა, რომ სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დირექცია ურუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას პედაგოგებისთვის ტრენინგების, სემინარების და კონფერენციების შესახებ. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას, მუდმივად ჰქონდეთ საშუალება პროფესიული განვითარების. ამას ახორციელებს სკოლის ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი. სკოლაში გაკვეთილზე დასწრება, გამოცდილი პრაქტიკის გაზიარება, ურთიერთდაკვირვება, საჭიროებების კვლევა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით. ხშირია პედაგოგთა მიზნობრივი სამუშაო შეხვედრები სწავლა-სწავლების გარკვეულ საკითხებზე. ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, მეთოდური ლიტერატურის გაცნობა. მასწავლებლები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტში, საჭირობებებიდან გამომდინარე, გადიან როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით ტრენინგებს. მნიშნელოვანია, რომ დაწესებულებას შემუშვებული ჰქონდეს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და თანამშრომემლთა განვითარების პროცესი მიმდინარეობდეს მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის გათვალისწინებით სკოლაში შეიქმნა ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც დირექციასთან ერთად ადგენს კონკრეტული მასწავლებლის საჭიროებებს და ეხმარება კვალიფიკაციის ამაღლებაში. სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც გამოიხატება წარმატებული პრაქტიკისა და ტრენინგზე მიღებული ცოდნის გაზიარებით, ინოვაციების განხილვით, მაღალი კოლეგიალური ურთიერთობის ხარჯზე ხდება საკუთარ ბაზაზე სკოლის პერსონალის განვითარება. სკოლა მიიჩნევს, რომ სწორად მიცემული უკუკავშირი ეხმარება მასწავლებელს საკუთარი თავის შეცნობაში, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში, მოტივაციის ამაღლებაში, პროფესიული საქმიანობის დაგეგმვაში.

3. სკოლაში სისტემატურად ხდება პედაგოგთა ტრანზიცია. წამყვანი პედაგოგები დახმარებას უწევენ კოლეგებს ამ პროცესის წარმართვაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი თანამშრომლების ინფორმირებას ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა იცოდნენ, რა ვალდებულებები გააჩნიათ, რომ არ დარჩეთ პასუხგაუცემელი კითხვები. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლის დირექცია მასწავლებლებს აწვდის იმ სიახლეების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, რაც დაეხმარება მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლაში ხდება ახალი კადრების მიღება თბილ და დემოკრატიულ გარემოში. წარდგენა და გაცნობა პედაგოგიური კოლექტივისათვის, კათედრებზე შეხვედრა და სამუშაო გეგმის გაცნობა. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშიერებული ინიციატივები, კონკრეტულად მასწავლებელების ან მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდან წამოსული ნებისმიერი ინიციატივა: პროექტებში ჩართულობა, სხვადასხვა აქტივობის განხორციელება, არაფორმარული განათლების აქტივობებში მონაწილეობა, რომელშიც მასწავლებლები სრულ მხარდაჭერას იღებენ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან.

5. სკოლაში პერსონალის საჭიროებების კვლევის თანახმად, რომელიც ეხება სასწავლო გარემოს, სწავლა-სწავლების პროცესს, გამოჩენილ ინიციატივებს, თვითგანვითარებასთან დაკავშირებით განიხილება და შესაძლებლობების ფარგლებში ხდება წახალისება დირექციის მხრიდან ობიექტურობის პრინციპის დაცვით. პროექტ ,,კულტურული მემკვიდრეობის“ ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის და ესთეტიკის კათედრის პედაგოგების მიერ X-XII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით დაიდგა ლიტერატურულ-მუსიკალური სპექტაკლი ,,შელოცვა რადიოთი“ (ნიკო ლორთქიფანიძე). ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, ქალაქის საკრებულოსა და რაიონული რესურსცენტრის წარმომადგენლები. ღონისძიების ხელმძღვანელ პედაგოგებსა და აქტიურ მონაწილეებს, სიტყვიერი მადლობის გარდა, გადაეცათ სიგელები. სკოლის შნაგანაწესში ასევე გაწერილია თანამშრომელთა წახალისების სხვადასხვა მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ხარისხის მართვის ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმა;*
- *პროექტების ამსახველი სოციალურ ქსელში განთავსებული ბმულები;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკსი დოკუმენტი;*
- *მადლობის სიგელები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინდა 2023 წლის 25 სექტემბერს, დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება N2-475) „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების/კურიკულუმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; შემოწმების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. თითოეული ეტაპისთვის, გაწერილია მისი შესრულების ინსტრუქცია.

2. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; ფორმალური და არაფორმალური განათლების მხარდაჭერა, გაძლიერება. სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება.

3. თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების პროცედურები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესის მიხედვით, დისციპლინური კომიტეტი არის სკოლის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს ამ საკითხს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა მოსწავლეებს სკოლაში დასაქმებულ პერსონალსა და ყველა დაინტერესებულ პირს აცნობს შინაგანაწესით გაწერილ უფლება-მოვალეობებს, რომელიც დადასტურებულია ხელმოწერებით. სკოლა უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სკოლის ფარგლებში მიმდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მშობლისთვის სხვადასხვა საკითხის გასაჩივრების უფლების შესაძლებლობის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე, ხელშეკრულებებსა და შინაგანწესზე ხელმოწერის დროს. ასევე ეგზავნებათ Facebook გვერდის მეშვეობით.

4. სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს აქვთ უფლება დისკრიმინაციის გარეშე დადგენილი წესით, სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ კანონით მინიჭებული ყველა უფლებით და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. სკოლის პერსონალის და მოსწავლეების უფლებები და მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში არსებობს მრჩეველთა საბჭო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც მანდატურის სამსახურთან ერთად განიხილავს სკოლაში გარკვეული საკითხების მონიტორინგს (მოსწავლეთა დაგვიანება, გაცდენა უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხი.)

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *სკოლის შინაგანაწესი;*
2. *დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;*
3. *მშობელთან დადებული ხელშეკრულება;*
4. *მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;*
5. *მრჩეველთა საბჭოს ოქმი;*
6. *ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;*
7. *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობასთან მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხების გასაჯაროების მექანიზმი. მშობლებისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელითა (Facebook გვერდის და Messenger-ის დახურული და ღია ჯგუფები) და სატელეფონო შეტყობინებებით. მშობელთა ინფორმირებას ახდენენ კლასის დამრიგებლები, რაც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებში. გარდა ამისა სკოლას აქვე ვებ-გვერდი სადაც განთავსებულია სკოლის მართვასთან დაკავშირებული სასკოლო რეგულაციები. სკოლას ასევე აქვს ელ. ფოსტა **tbilisi163@mes.gov.ge**, სადაც დაინტერესბულ პირს აქვს შესაძლებლობა სკოლას მისწეროს.

2. სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპექტებულია კანონმმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით, ასევე სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვით, სადაც მონაწილეობა მიიღო სსასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებულმა წევრმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მშობელთა კრების ოქმი სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტო-ვიდეო მასალის განთავსების შესახებ;*
- *სამეურვეო საბჭოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;*
- *დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ოქმი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლას გააჩნია უსაფრთხოების შესაბამისი მექანიზმები. სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების კონტროლი, მოსწავლეთა მშობლები გაფრთხილებულები არიან, რომ შვილის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში აუცილებლად უნდა აცნობონ კლასის დამრიგებელს, რომელიც ამ ინფორმაციის საფუძველზე, გაკვეთილების დაწყებასა და დამთავრების შემდეგ ამოწმებს მოსწავლეთა დასწრებას. საგაკვეთილო პროცესიდან მშობლის თხოვნით მოსწავლის გაშვება ხორციელდება კლასის დამრიგებლის მიერ, სპეციალური საშვით, მშობელთან კომუნიკაციის შემდეგ. ავადმყოფობის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი აცნობებს მშობელს და ექიმის ჩარევით, მოსწავლე თავისუფლდება გაკვეთილებიდან. ექსტრემალურ სიტუაციაში ეცნობება მშობელს და ექიმი იძახებს სასწრაფო დახმარების ჯგუფს, გადაწყვეტილება მოსწავლის კლინიკაში გადაყვანის ან არგადაყვანის შესახებ მიიღება მშობელთან ერთად. სკოლის ოთხივე სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნული გეგმები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. სკოლაში ასევე არის სახანძრო უსაფრთხოების დაფები, რომელიც აგრეთვე საჭიროებს განახლებას. სკოლას ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას. სკოლაში არის ექიმის კაბინეტი, ასევე სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი. უსაფრთხოების მიზნით, სკოლას ჰყავს დარაჯები, სრულდება მასწავლებელთა მხრიდან სართულებზე სისტემატური მორიგეობა. სკოლას ჰყავს სამი მანდატური, რომლებიც სისტემატურად ახორციელებენ მონიტორინგს სასკოლო შენობასა და ეზოში. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით, რომელიც აკონტროლებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. თუმცა ვიზიტის დროს, სკოლის ეზოს ერთ-ერთი შიდა მხარე არ კონტროლდებოდა ვიდეო-კამერებით. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, ვიდეო კამერები აღნიშნული ადგილიდან დროებით იქნა მოხსნილი და უახლოეს მომავალში კვლავ დაამონტაჟებენ. დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ უმოკლეს ვადებში მოხდეს ვიდეო კამერების დამონტაჟება ისე, რომ კონტროლდებოდეს სკოლის მთელი შიდა და გარე სივრცეები. ვიზიტის დროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული სველი წერტილი და გამწოვი კარადა, რაც აუცილებელია ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩასატარებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ამ ეტაპზე სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ ხორციელდება ჯანმრთელობისათვის საშიში ცდები. მოთხოვნილია ინფრასტრუქტურის სააგენტოსში ლაბორატორიის აღჭურვა, რომელიც უნდა დასრულდეს 2024 წლის 01 ოქტომბრამდე. ვიზიტის დროს სკოლის ღობე არ იყო სრულ პერიმეტრზე. ზოგიერთ ადგილას კი - მორღვეული იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არ არის ცნობილი ვინ მოარღვია, თუმცა მორღვეულ ნაწილს მოსწავლეები და მშობლები იყენებენ მოკლე გზით სასკოლო შენობამდე მისასვლელად. ვიზიტის დროს, იმ ადგილიდან სადაც სკოლას არ გააჩნდა ღობე, თავისუფლად გადაადგილდება ავტომობილი. მოსწავლეთა უსაფრთოხების უზრუნველსაყოფად, მნიშნელოვანია, რომ სკოლას მთელ პრეიმეტრზე ჰქონდეს ღობე და სკოლის ტეროტირიაზე შეიზღუდოს ავტომობილების თავისუფალი გადაადგილება. სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სიტყვიერი მოლაპარაკება/შეთანხმების საფუძველზე სამუშაოები დაიწყება 2023-2024 სასწავლო წლის დასრულებისთანავე და დასრულდება 2024 წლის 01 ოქტომბრამდე (ღობისა კეთილმოწყობის პროექტი დასრულებულია და გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის სააგენტოში შემდგომი რეაგირებისათვის). სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დირექტორის ბრძანებით. სოციუმის სკოლასთან თანამშრომლობისათვის შექმნილია ხელმისაწვდომი გარემო. შერჩეულია კვირაში ერთი დღე მშობლებთან კომუნიკაციისთვის, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში გამონაკლისის სახით მშობლებთან და სხვა გარეშე პირთან ურთიერთობა ხორციელდება სპეციალური საშვის გამოყენებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა (გაცემის თარიხი 08/09/2023) სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით. დასკვნის მიხედვით: *„N163 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაცია შესაძლებელია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. რეკომენდირებულია სილიკატური აგურის კედლების გარსაკში ჩასმა და შენობის მეოთხე სართულის ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, სასწავლო კლასების მაგივრად განთავსდეს სამეურნეო და სასაწყობე დანიშნულების ფართები. აღნიშნული ხარვეზები და მცირე დაზიანებები (იხ. კვლევითი ნაწილი) უნდა იქნეს აღმოფხვრილი დროულად.“* ვიზიტის დროს, მეოთხე სართულზე განთავსებული იყო საკლასო ოთახები, შესაბამისად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს რეკომენდაციები, კლასების ნაცვლად სამეურნეო და სასაწყობე დანიშნულების ფართების განთავსების თაობაზე, გათვალისწინებული არ იყო. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება *„საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ”* საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. დაწესებულებამ ასევე წარმოდგინდა სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N2-392 ბრძანება *„სსიპ ექვთიმე თაყაიშილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“* ბრძანება, ასევე სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი, ავარიული და საევაკუაციო განათების სისტემის პროექტი, სახანძრო-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის პროექტი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმოწერა, აღნიშნული პროექტების შეთანხმების თაობაზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხიდან ირკვევა, *რომ „ქალაქ თბილისში, ჯუმბერ ლეჟავას I შეს. N7-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.06.013.001) მდებარე, N163-ე საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის პროექტების სახანძრო*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია (ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის შესახებ მაუწყებლობა, ადამიანთა ევაკუაციის მართვა და ავარიული განათება), შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს". ვიზიტის დროს აღნიშნული პროექტი განხორციელებული ჯერ არ იყო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, პროექტის შესრულება დასრულდება 2024 წლის 01 ოქტომბრამდე.

2. სკოლაში წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით. მასწავლებელთა მიერ გაკვეთილისა თუ დასვენების დროს ხორციელდება მორიგეობა ოთხივე სართულზე. მორიგე მასწავლებელი პასუხისმგებელია მორიგეობის დროს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე. ასევე სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელსაც ევალება არასასკოლო დროს სკოლის დაცვა და უსაფრთხოება.

3. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლაში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა ხორციელდება საჭიროებების დადგენის შესაბამისად. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ბულინგთან დაკავშირებული ტრენინგი. კლასის დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური მხარდამჭერი აქტივობები. სკოლას ჰყავს სამი სპეციალური მასწავლებლები, რომელებიც სისტემატურად მუშაობენ სკოლის მთელ კონტინგენტზე. მანდატურის სამსახურთან შექმნილია მოსწავლეთათვის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი. მანდატურთაგან განსაზღვრულია რეფერალზე პასუხისმგებელი პირი.

4. სკოლის ფიზიკური გარემო, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებს შორის, რომელიც განათლების წარმატებას განაპირობებს. სკოლა გარემონტებულია. სკოლაში არის მოწესრიგებული სველი წერტილები, საკლასო ოთახების დასუფთავება ხდება სველი წესით დამლაგებლების მიერ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ოთახები ნიავდება, კვირის ბოლოს საკლასო ოთახებში ტარდება დეზინფექციები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი გაწერილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. კანონმდებლობის შესაბამისად დაცულია ინფორმაცია მოსწავლის პირადი ცხოვრების შესახებ. დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N2-27 ბრძანებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულნი არიან დირექტორის მოადგილეები, ხოლო ამავე თარიღის N2-26 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში დოკუმენტები ინახება კანცელარიაში. მოსწავლეთა მონაცემების დამუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს და ცდილობს თავიდან აირიდოს ისეთი დარღვევები, რომელებიც გამოიწვევს ღირსების შელახვას, დისკრიმინაციას, ნეგატიურ გავლენას მოახდენს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე. ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა ბულინგის თემას, მასწავლებლები გადიან შესაბამის ტრენინგებს, საუბრებს. კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებთან იმართება დისკუსია ბულინგის პრევენციასთან დაკავშირებით.

6. სკოლას ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე ემსახურება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი პირი. სკოლაში დაინსტაილირებულია ანტივირუსული პროგრამა და ლიცენზირებულია პროგრამები. ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სკოლა იძახებს მასზე მიმაგრებულ IT მენეჯერს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან. სკოლაში წარმოებული დოკუმენტაცია ინახება საქმისმწარმოებელთან, რომელიც თავის მხრივ ასევე უზრუნველყოფს არქივის წარმოებას.

7. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში არის დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. სკოლაში ყველა მოსწავლის მიმართ დამოკიდებულება ერთნაირია, პატივისცემაზე აგებული, რაც მოსწავლეებს ხელს უწყობს გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი. იყვნენ განსაკუთრებით კრეატიულები და ჰქონდეთ მეგობრული და ურთიერთპატივიცემაზე დამყარებული ურთიერთობა. სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება. სკოლის დირექცია ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპის დაცვას. ყველა თანამშრომელსა თუ მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 08 სექტემბერს. დოკუმენტში გაწერილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლის გაშვების ფორმები;*
- *ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;*
- *საევაკუაციო გეგმა;*
- *სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;*
- *ბრძანება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;*
- *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა;*
- *სკოლის საგანგებო მართვის გეგმა;*
- *სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი;*
- *ავარიული და საევაკუაციო განათების სისტემის პროექტი;*
- *სახანძრო-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის პროექტი;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;*
- *უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლა განთავსებულია ოთხ სართულიან შენობაში. დამატებით სკოლას აქვს მეორე ფლიგელი, რომელიც შედგება ორი სართულისგან. სკოლას ასევე აქვს ცალკე შენობა (საქვაბე). სკოლა რეაბილიტირებულია. მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, სკოლას გადაეცა დამატებით პროექტორები და ლეპტოპები, რომელებსაც პედაგოგები იყენებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სწავლება ორცვლიანია, შესაბამისად ზოგიერთ კლასში ცვლების მიხედვით სხვადასხვა კლასის მოსწავლეები სწავლობენ. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, მანდატურის ოთახი, დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, საწყობი, ორი რესურს ოთახი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, არქივი, ლაბორატორია და კომპიუტერული ოთახი. სკოლაში არის კეთილმოწყობილი დერეფნები, გათბობის ცენტრალური სისტემა, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის, ბიჭებისთვის და სკოლის თანამშრომლებისთვის. სკოლას ასევე აქვს სივრცე სასადილოსთვის, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო მოწყობილი. სკოლას ასევე აქვს სპორტული მოედანი, რომელიც განთავსებულია სკოლის ეზოში. ეზოს ფართობი შეადგენს 19 652კვ.მ-ს.

2. სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები. შენობის მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე მოწყობილია რეკრეაციული ზონა, რომელიც აღჭურვილია ტელევიზორით, მონიტორით. აღნიშნულ ზონაში იმართება სხვადასხვა აქტივობა. მაგალითად: სკოლაშ ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, თვითმმართველობასთან არსებულმა კლუბმა ჰარმონიამ ამ სივრცეში მოაწყო ოთარ ჭილაძის შემოქმედებითი საღამო, გახსნა მისი სახელობის კაბინეტი, რომელსაც ესწრებოდნენ საჯარო ბიბლიოთეკის წარმომადგენლები და კლუბ ,,აველუმის“ წარმომადგენელი. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება ისტის გაკვეთილები, მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს, ლეპტოპებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება სხვადასხვა დიაგნოსტიკური კვლევა, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმის ჩვენება, საინფორმაციო შეხვედრები. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, ბუნების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის მასწავლებლები ატარებენ ცდებს. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და გარკვეული წიგნადი ფონდი, მოწყობილია სამკითხველო სივრცე. ვიზიტის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, წიგნების საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავება მოხდება უახლოეს მომავალში. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ბოლო 3 წლის განმავლობაში შეძენილი წიგნების შესახებ ინფორმაცია, რათა შემოწმებულიყო ბიბლიოთეკის ფონდის განახლების დინამიკა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ პერიოდში შეძენილი იყო დაახლოებით 180 ლარის ღირებულების წიგნები. ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ წიგნადი ფონდი უფრო ხშირად და მეტი რაოდენობით განახლდეს, ხოლო განახლება ხდებოდეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე ყველა წიგნი, რომელიც არის სკოლის საკუთრებაში დამუშავდეს შესაბამისი წესით.

3. სკოლას აქვს ორი რესურს-ოთახი, ასევე ჰყავს სპეციალური მასწავლებლები. სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მოსწავლეები. სკოლას აქვს ადაბტირებული სველი წერტილი, თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის შიდა კიბეებზე და სკოლის შესასვლელში არ იყო მოწყობილი პანდუსი, რაც ზღუდავდა ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილებას. სკოლის მთავარ შენობას აქვს მეორე შესასვლელი, საიდანაც ეტლით მოსარგებლე პირს შეუძლია მთავარი ფლიგელის პირველ სართულზე მოხვედრა, თუმცა მეორე ფლიგელსა და ძირითადი შენობის დანარჩენ სართულებზე მოხვედრა, სხვა პირის დახმარების გარეშე, ეტლის მოსარგებლე პირისთვის შეუძლებელია. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მიმოწერა, რომლის მიხედვითაც *„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მომავალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლაში პანდუსისა და ლიფტის მოწყობის სამუშაოების საკითხის განხილვა“.* მნიშნელოვანია, რომ სკოლამ უახლოეს ვადაში შეძლოს შენობის ადაბტირება ეტლით მოსარგებლე პირებისთვისაც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ეტლით მოსარგებლე პირებისათვის გარემოს ადაბტაციისათვის განსაზღვრული სამუშაოები დასრულდება 2024 წლის 01 ოქტომბრამდე.

4. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და ეზოში კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, სადაც ხშირად იმართება სპორტული შეჯიბრებები, სკოლის თვითმმართველობისა და ესთეტიკისა და სპორტის კათედრის ხელმძღვანელობით. სკოლის პირველ სართულზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განთავსებული სპორტული დარბაზი ნაწილობრივაა აღჭურვილი სპორტული ინვენტარით. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, არარეაბილიტირებული (სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ზაფხულის განმავლობაში იგეგმებოდა დამხმარე კორპუსის რეაბილიტაცია, სადაც განთავსებულია სააქტო და სპორტის დარბაზები, თუმცა ვიზიტის როს აღნიშნული სივრცე არ იყო რეაბილიტირებული). სააქტო დარბაზი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, სპორტული თუ ინტელექტუალური თამაშებისათვის.

5. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მიწოდებას. სსსმ მოსწავლეებს-მათზე მორგებული რესურსებით. ხელმისაწვდომია კომპიუტერული უზრუნველყოფა, ინტერნეტმხარდაჭერა, რაც ქმნის საჭირო პირობებს მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროცესის წარმართვისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *წიგნების შესყიდვის დოკუმენტაცია;*
- *სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მიმოწერა*
- *სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების დოკუმენტი;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლა სრულად არის დაფარული Wi-Fi-ით. აქედან გამომდინარე ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა შენობის ნებისმიერ სივრცეშია შესაძლებელი. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება ისტის გაკვეთილები, მოსწავლეები ხალისითა და ინტერესით არიან ჩართული სასწავლო პროცესში ისტის გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასკოლო პროექტ ,,გარემოს დაცვის“ ფარგლებში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებელთა, ყველა საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სადაც ყველა კლასმა წარმოადგინა პრეზენტაცია, გამოსცა საინფორმაციო ბუკლეტები, შეიქმნა კომიქსი და მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობით მომზადდა ვიდეორგოლი ,,მე მიყვარს დედამიწა“. საჭიროების მიხედვით მასწავლებლები იყენებენ სკოლის ბაზაზე არსებულ პროექტორებსა და ლეპტოპებს წინასწარ შემუშავებული განრიგის მიხედვით. სამეთვლაყურეო კამერები, სკოლის ადმინისტრაციას ეხმარება საგაკვეთილო პროცესისა, თუ დასვენების დროს მოსწავლეთა გადადგილების, გაკვეთილებზე დაგვიანების, სკოლის სხვადასხვა ზონაში მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონიტორინგის ჩატარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მხარდაჭერას, სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, ყველა საკლასო ოთახში შესაძლებელია ტექნოლოგიებზე მუშაობა უკაბელო ინტერნეტის საშუალებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს: უყურებენ ფილმებს, აკეთებენ პრეზენტაციებს, დიაგრამებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მე-8 კლასის მოსწავლეებმა მათემატიკაში კომპლექსურ დავალებაზე (მიწისძვრების შედეგების ანალიზი) მუშაობისას ინფორმაციის მოძიების მიზნით გამოიყენეს ელექტრონული რესურსი. საბოლოო პროდუქტი წარმოადგინეს Power Point-ის გამოყენებით. პედაგოგები აქტიურად სარგებლობენ მთელი დღის განმავლობაში ლეპტოპებითა და პროექტორებით, რომელსაც აღრიცხავს საინფორმაციო მენეჯერი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპიუტერული ტექნიკის მოძრაობის აღრიცხვის ფორმა;*
- *კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *პროექტორების ფლობი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლამ წარმოადგინდა საქმისწარმოების დებულება, სადაც გაწერილია როგორ უნდა მომზადდეს და გაფორმდეს დოკუმენტი, კორესპონდეციების ტიპები და ნუმერაციის მინიჭების წესი, ასევე არქივის წარმოება. სკოლას ჰყავს საქმის მწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას და აღრიცხვას დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული საქმისწარმოება (Eflow, Eschool). სკოლას ასევე აქვს ელეტრონული ფოსტა, საიდანაც იგზავნება და მიიღება საჭირო ინფორმაცია.

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი. შევსებულია სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია, შევსებულია საგაკვეთილო ცხრილი კლასების მიხედვით. მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდეციების ელექტრონული რეგისტრაცია.

4.. სკოლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. თუმცა სკოლას აღნიშნული პროცესები არა ქვს აღწერილი, შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განისაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორცეილდება პროცესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საქმის წარმოების დებულება;*
- *Eflow;*
- *Eschool.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი (https://skolebi.emis.ge/schools/254?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96163%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90) რომელსაც იყენებს საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ. გარდა ამისა, საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით იყენებს ფეისბუქ გვერდს და ელ. ფოსტას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, შეესაბამებოდა ვიზიტის დროს სკოლაში არსებულ დოკუმენტაციასა და საქმიანობას.

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა განიხილავს სოციალური ქსელიდან მიღებულ ინფორმაციას (მესენჯერი დახურული და ღია ჯგუფები). მიღებულ უკუკავშირს, სკოლის მიზნებისა და სურვილების შესაბამისად იყენებს და ნერგავს სასკოლო პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. სკოლაში სწავლა-სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სწავლების საფეხურები, მოსწავლეთა რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა, სკოლის საკონტაქტო მონაცემები, მისამართი და დირექტორის შესახებ ინფორმაცია. ასევე განთავსებულია სკოლის მისია და ხედვა, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის შინაგანაწესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის ვებ-გვერდით;*
- *სკოლის Facebook გვერდი*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი ბუღალტრის მონაწილეობით ადგენს მომდევნო წლის ბიუჯეტს, რომელშიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხები, ასევე სასკოლო საზოგადოების ინტერესები (კათედრები, პედაგოგები, სამნეო ნაწილის გამგის წერილობითი მომართვები სხვადასხვა რესურსის შესაძენად). კვარტალში ერთხელ ხდება დირექტორის მიერ ვიზუალურად დათვალიერება (მიმდინარე ხარჯების, შესყიდვების, ნაშთის), ხოლო წელიწადში ერთხელ დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი და 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სკოლას შემოსავლის სახით აქვს როგორც ვაუჩერული დაფინანსება, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (იჯარა, ფასიანი წრეები). ბიუჯეტის დაგეგმვის დროს სკოლა ითვალისწინებს პრიორიტეტულ მიმართულებებს და სავარაუდო ხარჯებს, რომლებიც დგება წინა წლის გამოცდილებებეზე დაყრდნობით.

2. სკოლის დირექტორი განკარგავს თანხებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ სკოლის შემოსავალი იზრდება ან მცირდება (ვაუჩერის დაფინანსება გაიზარდა ან შემცირდა, იჯარები გაიზარდა ან შემცირდა და ა.შ.), დირექტორი მიმართავს სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ყოველი წლის ბოლოს 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოსთვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშის მომზადების დროს ხდება მისი გაანალიზება და მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვა. სკოლამ წარმოადგინდა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების დოკუმენტი, თუმცა არ წარმოუდგენია ფინანსური რესურსების მართვისათვის შემუშვებული დოკუმენტი სადაც გაწერილი იქნებოდა დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგი სპროცედურები. დაწესებულებას მიეცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა, რომ შეიმუშავოს აღნიშნული პროცესების აღმწერი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პროცედურებიც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;*
- *სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტში ცვლილების შესახებ;*
- *2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში, ასევე ასახულია მოსწავლის უფლებები. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო. სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებებეის დაცვის დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის უფლებები, ასევე განცხადების ფორმები თუმცა არ არის გაწერილი გასაჩივრების პროცედურები. დაწესებულებას მიეცა რჩევა განსაზღვროს და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურები.

2. სკოლამ შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით წარმოადგინა მშობელთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. სკოლის ადმინისტრაციასთან/საქმისმწარმოებელთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ანალოგიური ტიპის ხელშეკრულება. ,,ზოგადი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისად სკოლის შინაგანაწესს ითანხმებს სკოლის პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლის შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განტავსებულია ვებ-გვერდზე, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის, ყველა საფეხურს ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებებეის დაცვის დოკუმენტი და ყველა ის დოკუმენტი რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დაცვას, განთავსებული იყოს სკლის ვებ-გვერდზე.

3. სკოლში ყოველ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია კანონმებლობასთან და სკოლაში არსებულ სხვა დოკუმენტებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი.;*
- *მშობელთან დადებული ხელშეკრულებები;*
- *ვებ-გვერდი;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებებეის დაცვის დოკუმენტი.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. წესში გაწერილია: მოსწავლეთა ჩარიცხვის ვადები; წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, მოსწავლის სტატუსის შეჩერების პირობები, და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამავე დოკუმენტში გაწერილია კერძო სკოლებთან დაკავშირებული წესებიც. სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტი სრულად მოარგოს საჯარო სკოლას.

2. მოსწავლეთა მობილობასთან და ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადამოწმება მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ექსპერტების მიერ შესწავლილი ბრძანებები, შეესაბამებოდა სკოლის და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულს წესს.

3. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფის, ცეკვის, კალათბურთის, ფეხბურთის, ცურვის, ჭადრაკის წრეები.

სკოლას აქვს ღია კარის დღეების ტრადიცია მომავალი პირველკლასელებისა და მათი მშობლებისთვის. ივნისის თვეში ხორციელდება კვირეული, რომლის ფარგლებშიც ბაღის აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას, ათვალიერებენ და ეცნობიან სასკოლო გარემოს. ასევე მშობლებისთვის ტარდება ღია კარის დღეები, რომლის ფარგლებშიც მათ აქვთ საშუალება დაათვალიერონ სკოლა, შეხვდნენ დირექციას მიიღონ სასურველ კითხვებზე პასუხი, გაიცნონ ყველა პედაგოგი და ნახონ სპეციალურად მომზადებული ვიდეო რგოლი. ამ ყველაფრის საჯაროობის უზრუნველსაყოფად სკოლა ძრითადად იყენებს facebook გვერდს და მშობელთა მცირე და დიდ ჯგუფებს. სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლაში მშობელთა მიერ ხდება მეორე უცხოური ენის არჩევა, ეს პროცედურა და საბოლოო არჩევანი გაწერილი და დადასტურებულია მშობელთა ხელმოწერებით და შესაბამისი ოქმით. ასევე ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. საბაზო საფეხურის მოსწავლეები არჩევითი საგნების ჩამონათვლიდან რომელიც გაწერილია ესგ-თი ირჩევენ მათთვის სასურველს და საინტერესოს. მომავალში ესეც გაწერილი იქნება ხელმოწერითა და ოქმით. სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შსახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის კანონმდებლობის შესაბამისად. მაგ: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მე-10 კლასებში მიმდინარეობს პროექტებით სწავლება. მუსიკასა და სახვით ხელოვნებას შორის უნდა გააკეთონ არჩევანი, რომელიც ხორციელდება მოსწავლეთა გამოკითხვის გზით, კლასის დამრიგებლები გამოკითხვის შედეგებს აცნობენ დირექციას, რომელიც აყალიბებს კლასებს შესაბამისი არჩევნის მიხედვით. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ მეურვეებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ინტერნეტ სივრცეში, ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ასევე დაწესებულება თვითშესაფებაში აღწერს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას: *„მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ერთ-ერთ მექანიზმად სკოლას შემუშავებული აქვს ბაღიდან სკოლაში ტრანზიცია, კონკრეტულად ბაღის მოსწავლეების, მომავალი პირველკლასელების ვიზიტი სკოლაში, რომლის დროსაც ხდება უშუალოდ მათთვის გარემოს გაცნობა, მასწავლებლების წარდგენით, საკლასო ოთახის მათი შთაბეჭდილებების გაზიარება. ტრანზიცია ეხება, როგორც ტიპური განვითარების, ასევე სსსმ მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციას. პირველკლასელთა საზეიმო დახვედრა სასწავო წლის პირველ დღეს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის უცვლელი ტრადიციაა. მოწვეული მსახიობები პატარებს ახალ გარემოში ინტეგრირებას უადვილებენ. მათ კომპიუტერებისა და სახელმძღვანელოების გადაცემით დადებითი ემოციები, ნდობა და სკოლისადმი მიკუთნებულობის განცდა უყალიბდებათ. მნიშვნელოვანია სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის ადაპტაციისთვის შემუშავებული მექანიზმი, რომელიც იწყება მისი გარემოს გაცნობით, თანაკლასელებისა და პედაგოგების წინაშე წარდგინებით. ვეცნობით მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი გამშვები ორგანიზაციებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური საჭირობის მქონე ბავშვებისათვის შექმნილი ადაპტირებული გარემო, საჭირო ინვენტარითა და სახელმძღვანელოებით აღჭურვილი ადაპტირებული ორი რესურს ოთახით". აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გაწერილია გარკვეული პრონციპები, თუმცა დაწესებულების მიერ აღწერილი პროცედურები იქ არ მოიძებნა. დაწესებულებას მიეცა რჩევა მის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკაც, რომელიც წარმოადგენს სკოლის კულტურის ნაწილს ასახოს ზემოაღნიშნულ დოკუმენტში.

2. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი მექანიზმია ადაპტირებული გარემო. პირველ რიგში ყველა საკლასო ოთახი ადაპტირებულია ასაკისთვის შესაბამისი ზომის ავეჯით. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მათი ასაკის შესაბამისი სასკოლო მერხებით. დაფის დაკიდების სიმაღლე გათვლილია მათ ასაკზე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები და აღჭურვილი ყველა იმ ადამიანური რესურსით, რასაც ამ დროისათვის საჭიროებს. არსებობს მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურეობის ცენტრი. (მშობლის მიმართვის საფუძველზე მოსწავლეს გაეწევა ფსიქოლოგიური დახმარება).

3. სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია დიფერენცირებულ მიდგომასა და მულტიმოდალურ სწავლებაზე, რაც მოსწავლეებს ეხმარება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. უმუშავდებათ უნარები, როგორ მართონ საკუთარი სწავლა ამას ასევე ხელს უწყობს განმავითარებელი უკუკავშირი როგორც კონკრეტული გაკვეთილის, ასევე ზოგადად თემის შესწავლის ბოლოს. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგი მოსწავლეებისათვის დამატებითი დროის გამოყოფს, როგორც დასწრებულ ასევე ონლაინ რეჟიმში. მოსწავლის სწავლის შედეგებზე წვდომა აქვთ მშობლებს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

4. სკოლის ადმინისტრაცია აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სრულ ინფორმაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მომსახურების შესახებ. მაგალითად ნიშნის ამაღლების, ექსტერნატის წესით, ან საშემოდგომო გამოცდით სათანადო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასის ან საფეხურის დაძლევის პროცედურებისა და ვადების, წლიური გამოცდების შესახებ. (კლასის დამრიგებლების, მოსწავლეებთან კონსულტაციებით, პირადი შეხვედრებითა და სოციალური ქსელით).

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, რომლებშიც აღწევენ მნიშველოვან წარმატებებს და მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება მათი ინტერესების წახალისება. სკოლის წარმომადგენლი სგანცხადებით, სკოლა მომავალშიც გეგმავს მოსწავლეთა მხარდაჭერას სხვადსხვა ინოვაციური პროექტების განხორციელებაში. კვლევის საფუძველზე საჭიროებების გამოვლენის შემდეგ ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, როგორც სკოლის თვითმმართველობის, ასევე სკოლის ხელმძღვანელობის ინიციატივით. ერთეთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ,,მედიაწიგნიერების“ კვირეულთან დაკავშირებით. სკოლამ ასევე განახორციელა შემდეგი პროექტები: ,,ადამიანის უფლებები და მოვალეობები“, ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“, ,,გარემოს დაცვა“, ,,კულტურული მემკვიდრეობა“. როგორც სკოლი სწარმომადგენელი აღნიშნავს, პროექტების განხორციელებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, თემი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და გამგეობის წარმომადგენლები.

6. სკოლის წარმომადგენლი სგანცხადებით, სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის გამომხატველია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად რგოლს სასკოლო ცხოვრებაში. იკვლევს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინიციატივებს და შუამდგომლობით მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას, კლასის ხელმძღვანელებს, ზოგადად სასკოლო თემს მხარდაჭერისათვის. სკოლის დირექცია ყურადღებით განიხილავს თვითმმართველობის მიერ დაყენებულ ყველა საკითხს, იღებს გადაწყვეტილებებს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლაში სპეციალური მასწავლებლების მიერ მიმდინარეობს სისტემატური კვლევა თემაზე ,,სსსმ მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესება მშობელთა ჩართულობით“

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში. სკოლას გააჩნია გარკვეული გამოცდილება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით. სკოლას აქვს ტრადიცია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევის და მოსწავლეების მათთან საინტერესო შეხვედრის (იურისტები, ექიმები, თავდაცვის სამინისტროსა და პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლები). სკოლას აქვს დადებული მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელ „სპექტრთან“, ასევე შპს ევროპის უნივერსიტეტთან, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ ღია კარის დღეებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობაში, რაც მათ ხელს უწყობს პროფესიის სწორად არჩევაში. პროფორიენტაციის კუთხთ ხშირია მოსწავლეების ვიზიტები უნივერსიტეტებში, მუზეუმებში, ლაბორატორიებში, პროფ. სასწავლებლებში და ა.შ., ასევე შეხვედრები პროფესორებთან და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. შესაბამისი საფეხურის დაძლევის შემდეგ სკოლა კანონიერ წარმომადგენელს აწვდის ინფორმაციას, თუ რა კუთხით შეიძლება იზრუნონ კარიერული წინსვლისათვის. პროფესიები და პროგრამები ეცნობება მშობლებსა და მოსწავლეებს კლასის დამრიგებლების საშუალებით.

3. უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან სკოლის მჭიდრო კავშირი, გაფორმებული მემურანდუმები ეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში. მოსწავლეებისგან ზეპირსიტყვიერი უკუკავშირის გზით ხდება ინფორმაციას მოპოვება თუ ვინ რომელი საწავლებელი აირჩია და მიიღო თუ არა გრანტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მემორანდუმი კოლეჯ „სპექტრთან";*
- *მემორანდუმი თსუ-სთან;*
- *მემორანდუმი ღია უნივერსიტეტთან;*
- *მემორანდუმი საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრთან.*

.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.. სკოლაში ამჟამად სწავლობს 30-ზე მეტი სსსმ მოსწავლე. სკოლას მეტწილად შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია ყველა ის პუნქტი, რომელიც საჭიროა მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისთვის, გარემოსთან ადაპტაციისათვის, ისგ ჯგუფის შექმნა, სსსმ მოსწავლეების პედაგოგიური შეფასება, ისგ-ს სხდომების ჩატარება, კონსულტირება მშობლებთან ისგ-ს ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, მასწავლებლებთან კონსულტირება სასწავლო აქტივობებსა და ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით. ისგ ჯგუფში შედიან: საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, მშობელი, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი. ისგ ჯგუფი შემუშავდება ყველა იმ საგანში, რომელიც კონკრეტულ დასკვნაშია მითითებული. მუშაობა მიმდინარეობს ტრანზაციის გეგმაზე. ხდება ისგ ჯგუფის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინება. სპეციალური მასწავლებელი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მშობელთან კომუნიკაციას. კომუნიკაცია არის როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ ქსელისა და სატელეფონო საუბრის სახით. სპეციალურ მასწავლებელს შემუშავებული აქვს მშობლის კითხვარი რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლის უნარებისა და ინტერესების დადგენა, მშობლის პრიორიტეტების განსაზღვრა (ეს დოკუმენტაცია ინახება მოსწავლის პორტფოლიოში და არის კონფიდენციალური). ყველა ამ პროცესის განხორციელების შემდეგ მონიტორინგისათვის შექმნილია სკოლაში შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებს მოსწავლის პროგრესს და ზოგადად სასკოლო საზოგადოების საქმიანობას და ჩართულობას სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნისა და განვითარებისათვის. სკოლის დირექტორი წლის განმავლობაში სამჯერ ხვდება სსსმ მოსწავლეთა მშობლებს მათი სჭიროებების დასადგენად. ზეპირსიტყვიერად დგინდება სსსმ მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები, დგება შემდგომი მუშაობის გეგმა.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის აქტიურად მუშაობს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი: საგნის მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი და თავად მოსწავლეები, სკოლაში დანერგილია ტრადიცია, რომელიც გულისხმობს ტიპური განვითარების მოსწავლეების ჩართულობით სსსმ მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, რასაც სარგებელი ზოგადად კლასისთვისაც მოაქვს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის ხდება აქტიური თანამშრომლობა ისგ-ს ჯგუფის წევრებს შორის, მოსწავლის პროგრესისა და რეგრესის გაზიარება, მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინება, თანამშრომლობის დაგეგმვა და განხორციელება სხვადასხვა კლასში, რაც მდგომარეობს ერთობლივი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებაში. წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმავლობაში რამდენჯერმე სკოლის სპეციალური მასწავლებელების მიერ ხდება სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა იმ პედაგოგებთან, რომლებიც არ ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს. შეხვედრების მიზანია სასკოლო საზოგადოების მზაობის გაზრდა სსსმ მოსწავლეთა ადაპტირებისათვის საკლასო გარემოში, სხვადასხვა პრეზენტაციის წარმატებული მაგალითის გაზიარებით ინკლუზიური განათლების ეფექტიანობისა და საჭიროების ჩვენება. სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია 2023-2024 სასწავლო წლისათვის სსსმ მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში (გამოფენები, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, ლიტერატურული საღამოები.) სკოლაში დაწყებით საფეხუზე მუშაობს USAID -ის საბაზისო განათლების პროგრამა (I-VI კლასები), სადაც ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა კითხვასა და მათემატიკაზე დიფერენცირებული სწავლების ფორმით. მიმდინარეობდა უკუკავშირი წარმომადგენლის მიერ თითოეულ პედაგოგთან, სკოლაში შემოვიდა სხვადასხვა საჭირო რესურსი. სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგები მონაწილეობას ღებულობენ შემაჯამებელ კონფერენციაზე პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს კუთხით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ისგ ჯგუფის დამტკიცების ბრძანება;*
- *ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შფასების ამსახველი დოკუმენტები;*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას: გახანგრძლივებული სწავლება, სპორტული მომსახურება: ფეხბურთის, კალათბურთის, ცურვის წრეები, ჭადრაკის წრე. სკოლას იჯარით აქვს გაცემული სკოლი სგარკვეული ფართები.

2. სკოლას აქვს გამოცდილება წრეების არსებობის დამატებით (არასავალდებულო) მომსახურეობის სწორად წარმართვისა. ეს ყოველივე ხორციელდება მშობლებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

3. სკოლას არ ჰყავს საკუთარი ტრანსპორტი. მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით ექსკურიის დროს მშობელთან იდება ხელშეკრულება, ასევე ყალიბდება დოკუმენტი ტრანსპორტის გამართულობისა და მძღოლის სათანადო კვალიფიკაციის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მშობელთან დადებული ხელშეკრულება არასავალდებულო მომსახურეობის შესახებ;*
- *მშობელთან დადებული ხელშეკრულება ექსკურსიის შესახებ;*
- *იჯარის ხელშეკრულებები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

დაწყებითი საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, დაწყებით საფეხურზე, წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია: კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია); კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ.). ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების შექმნისას კათედრები ხელმძღვანელობდნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყველა იმ პრინციპით, რომელიც შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ, კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობას იღებდა სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები, მშობლები, დირექცია და მოსწავლეები. მუხედავად იმისა, რომ სკოლას არ გააჩნდა კომპლექსური დავალებებით მუშაობისა და კურიკულუმების შექმნის გამოცდილება, პრაქტიკულ პროცესებში მშობლები აქტიურად ჩაერთნენ, განსაკუთრებით კი სსსმ მოსწავლეების მშობლები. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს მაინც მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული გამოწვევა მათთვის მშობელთა თანამონაწილეობაა და სამომავლოდ გეგმავენ, შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან, მათ გამოკითხვას, ანალიზსა და რეაგირებას, რათა მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება და სრულად გაითვალისწინონ მათი ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. აგრეთვე, ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მაგალითად, დაწყებითი კათედრის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ, როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. ასევე, გასაუბრების დროს დადგინდა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და როგორც არაჩართული სკოლა, საკუთარი ინიციატივით ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებს და ცდილობდნენ კურიკულუმები შესაბამისობაში ყოფილიყო მესამე თაობის ეროვნლ სასწავლო გეგმასთან. 2023-2024 სასწავლო წლიდან ფიქრობენ მოიძიონ და მოამზადონ საინტერესო კონტექსტ-მაგალითები, დაურთონ შეფასების რუბრიკა და ყველა კურიკულუმი გაამდიდრონ მოწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმში. კერძოდ, კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმი გაზიარებულია საკოლო საზოგადოებისთვის, კურიკულუმის ელექტრონული ვერსია განთავსებულია სოციალურ ქსელში, აგრეთვე, საგნობრივი პროგრამები, აკადემიური კალენდარი, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ კლასების ფეისბუქ ჯგუფებში ეტაპობრივად ქვეყნდება კონკრეტული კლასის სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი და საჭირო აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშეფასების განაცხადი*
- ✓ *კათედრის სხდომების ოქმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *ვერიფიკაციის მექანიზმი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. შემუშვებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. გასაუბრების დროს კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების დავალების დანერგვის შემთხვევები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ვინაიდან სკოლისათვის სიახლეა მსგავსი ტიპის დავალებებით მუშაობა თითოეული კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, ეხმარებიან მოსწავლეებს გაიაზრონ რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლეს,, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. შესაბამისად, მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა:</u> ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, ყველა ცნებაზე გაიწეროს კომპლექსური დავალების იდეა, მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ მაგალითებითა და მაგალითები შედარებისთვის.

მე-4 კლასის **მე და საზოგადოების** კურიკულუმში ქვეცნებებთან ერთად გაიწეროს სამიზნე ცნებები.

<u>უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა:</u> კათედრას შემაჯამებელ ოქმში მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გაწერილი აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, რაზეც მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება განხორციელდეს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.

<u>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა:</u> **მუსიკის** კურიკულუმებში, იმ თემებში, სადაც ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, უნდა შეიტანოთ ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის.

ხელოვნების კურიკულუმებში ქვეცნებები უნდა შეიტანოთ მთლიანად (და არა მხოლოდ მათი ნუმერაცია). გაითვალისწინეთ, რომ მე-5 კლასში ხელოვნებაში არის არა ოთხი, არამედ ხუთი სამიზნე ცნება. იმ თემებში, სადაც ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, უნდა შეიტანოთ ძირითადი კონტექსტ-მაგალითები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>**სპორტის ექსპერტის რჩევა:**</u> ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში საჭიროა შემცირდეს თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგებს, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის საათობრივ ბადიდან გამომდინარე და სრულად განახორციელონ იმ თემების შესწავლა რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.

2.დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობაზე, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად და არა მხოლოდ ნაწილი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა დაწყებით საფეხურზე, ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ დიდი გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. დაწყებით საფეხურზე კათედრები მოსწავლეებს სთავაზობენ "სასწავლო მენიუს" თავისი სავალდებულო, არჩევითი ხასიათისა და ბონუსკითხვებით. საკუთარი ინტერესებისა და მზაობის შესაბამისად აქტივობების შერჩევისათვის. სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებასა და თვითშეფასებას. სკოლას ჰყავს როგორც სპეცმასწავლებელი, ასევე, ინდივიდუალური ასისტენტი. შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმები. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. აგრეთვე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ჩართულია USAID პროგრამაში, რომლის ფარგლებში იყენებენ სხვადასხვა სახის მრავალფეროვან რესურსს, რომლებიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეხმარება დიფერენცირებულ სწავლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ასახული გრძელვადიანი მიზნები არ შეესაბამება მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო მიზნებს, თუმცა წარმოდგენილია მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები, კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები და აქტივობები. მთლიანობაში, შეინიშნება რიგი ხარვეზები, რის შესახებას მიეცა რჩევა. კერძოდ, საგნის გეგმაში ასახოს ყველა ის ძირითადი კომპონენტი, რასაც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: სტრუქტურირებულად ასახოს ზოგადი ინფორმაცია, ისგ ჯგუფის შეხვედრების კალენდარი და მონაცემები სასწავლო პროცესის შესახებ და მკაფიოდ გამოკვეთოს მოსწავლის აკადემიური და განვითარების სფეროების მიხედვით ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამას გარდა, მოახდინოს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა (საგანში) და მიუთითოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კათედრებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ მათ აქვთ მზაობა, შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

წარმოდგენილი რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> მე-5 კლასის იტალიური ენის შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკაში მითითებული გრძელვადიანი შედეგების ინდექსები და ინდიკატორები არ ასახავს მე-3 თაობის გრძელვადიან შედეგებს და 5,6 კლასების ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოებზე დართული შეფასების რუბრიკებიც არ მიემართება მე-3 თაობის ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია ცნებების მიხედვით. მიეცა რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ასახონ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და მიმართონ მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალ სასწავლო წელს გეგმავენ. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები, მშობელთა კრებების ოქმი, სადაც განხილულია საკითხები: კურიკულუმების შემუშავება, სამოქმედო გეგმა და სხვ. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მაგალითად, სადიაგნოსტიკო შეფასებები; ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *კომპლექსური დავალებები*
- ✓ *კათედრის სამუშაო გეგმა*
- ✓ *კათედრის ოქმები*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *სსსმ მოსწავლეთა გეგმები*
- ✓ *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილი გარემო უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას, როგორც ფიზიკური ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დაგეგმილია და გახორციელებულია მრავალი შემოქმედებითი აქტივობა, ინტეგრირებული STEM გაკვეთილები, ვიქტორინები. მთავარი აქცენტი კეთდება კეთებით სწავლაზე, რომელიც კომპლექსური დავალებების სხვადასხვა პროდუქტის შექმნაზეა დაფუძნებული. მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პრეზენტაციებს, მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში. აგრეთვე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურებსს.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. დაწყებით საფეხურზე, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, კონტექსტ მაგალითები მოცემულია იმგვარად, რომ მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლა. სავალდებულო თემების ფარგლებში, შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. დაწყებით საფეხურზეწარმოდგენილ კურიკულუმებში სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ისეთი აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს სწავლის სტრატეგიებზე, სამოქმედო გეგმაზე, თვითშეფასებაზე, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, შეუძლიათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის კურიკულუმის ნიმუშების, კომპლექსური დავალებების, მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტისა და სასწავლო პროექტების მიხედვით მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, რაც ასევე გამოიკვეთა პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, პროექტული ტიპის აქტივობებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ყოველივე გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები*
- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები*
- ✓ *განხორციელებული პროექტები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმები. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავაფეროვანი სასწავლო პროექტები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ისაუბროს საკუთარ თავზე, საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე.შესაბამისად, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი , განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების სოლოტაქსონომიის რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, ატარებენ სადიაგნოსტიკო წერას და იხილავენ მის შედეგებს.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სასწავლო პროცესში ტესტებითა და რუბრიკებით განხორციელებული შეფასება არის ვალიდური, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის შეფასებაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედაგოგები შეიმუშავებენ შეფასების ერთიან რუბრიკებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს. კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ შექმნან და დახვეწონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შესაბამისად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასება, შეფასების განხილვა და ანალიზი. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით. მოსწავლეთა შეფასებები აღირაცხება ელექტრონულ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, კურიკულუმის, პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, შეფასების მასალების შენახვის წესი და ფორმა (ელექტრონული, მატერიალური) არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *კურიკულუმი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *შემაჯამებელი წერის ანალიზები*
- ✓ *მოსწავლეთა ნამუშევრები*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი მიმართულია მიმღებლობასა და მხარდაჭერაზე, კერძოდ, კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ და შშმ მოსწავლეებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმა ასახავს მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებებს, მშობელთა ჩართულობას, ახალი პროგრამების შემუშავებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან გასახორციელებელ ღონისძიებებს. კურიკულუმებში პრიორიტეტია სწავლების თანამედროვე მიდგომები რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპს ეფუძნება და ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რომელიც მიემართება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაციას, პრობლემებთან ჩაღრმავება/იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა არჩევანსაც - თუ სად, როდის და როგორ უნდა სწავლა. წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეთა გამოკითხვით, მათი ინტერესის სფეროების დადგენით, შესაძლებლობების გარკვევით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი სასკოლო გეგმითა და კურიკულუმებით, რომელიც აგებულია მოსწავლის განვითარებაზე, ჩაშენებული მრავალფეროვანი აქტივობებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3.დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია თანამშრომლობითი უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის, სხვისი აზრის მოსმენის, კვლევითი უნარების, პატივისცემისა და თავისი მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენის უნარების ჩამოყალიბებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომელზეც ისაუბრეს მასწავლებლებმა. ასევე კათედრების შეხვედრები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. დაწყებით საფეხურზე წარმოდგილი კათედრის სხდომის ოქმები, მასწავლებლებთან გასაუბრება და ასევე სკოლის კურიკულუმები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, სადაც ჩართული ჰყავთ მოსწავლეები. დირექცია საინტერესო იდეების, პროექტების, სოციალური აქტივობების, კონკურსების მხარდამჭერი და წამახალისებელია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირი*
- ✓ *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- ✓ *შინაგანაწესი*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფარგლებში, სკოლა გეგმავს შეადგინოს კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს სკოლამ გამოთქვა მზაობა დახვეწოს მონიტორიგისა და შეფასების მექანიზმი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე იგეგმება მონიტორნიგის მექანიზმის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა შედეგების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მნიშვნელობა. ეს პროცესი პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. კათედრები სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო კომპლექსურ დავალებებს, მსჯელობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. ამ პროცესში იკვეთება, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები ხელს შეუწყობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის დოკუმენტაციის შესაწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგევს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიურ პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტის, თემატური მატრიცის, "კრიტიკული მეგობრის" რეფლექსიის, მეორე სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები).კათედრამ წარმოადგინა ცალკეული ინსტრუმენტი და პრაქტიკა, (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებსა, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. სკოლას აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო მარავფეროვანი გახადოს შეფასების კომპონენტი . **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. დაწყებით საფეხურზე, კათედრებთან გასაუბრების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა რომ სკოლას გამოცდილებაში აქვს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები, შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი,ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, როგორც ჩანს ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, მშობელთა კრებები, და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი და სხვა.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით, აგრეთვე, წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ უმეტესად ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს, თითოეული კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *თვითშსეფასების შევსებული ფორმა*
- ✓ *კომპლექსური დავალებების ანალიზი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სკოლაში კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია.მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს თუფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, მისი დახვეწა-განვითარება მოხდება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას გაითვალისწინებენ ყველა იმ პრობლემას , რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ იმუშავებენ პრობლემის დაძლევის გზებზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშეფასების შევსებული ფორმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. თვითშეფასების კითხვარისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლას აღწერილი აქვს, რომ კათედრის წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით, კათედრის მუშაობის ანალიზით, მშობელთა გამოკითხვებით, ჩართულობითა და მიღწევებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულიმებს. საერთო მსჯელობის შემდეგ პარალელური კლასის მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ თემებს, გამოყოფენ საკითხებს და აკავშირებენ ცნებებს, საკითხებსა თუ ქვესაკითხებს, ჯერდებიან კომპლექსური დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებზე. ითვალისწინებენ მშობელთა, მოსწავლეთა და დირექციის მხრიდან გამოკვეთილ ინტერესებს, მაგალითად: მშობელთა ჩართულობა უშუალოდ სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა სურვილები კონკრეტული პროდუქტი სხვადასხვა საშუალებითა თუ სახით წარმოგვიდგინონ და შეაქვთ ცვლილება კურიკულიმებში, რათა გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სასწავლო პროცესი გახდეს მრავალფეროვანი.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კათედრების წევრთა ერთსულოვნება, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სიახლეებზე ორიენტირი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გასული სასწავლო წლის განმავლობაში კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრაქტიკა არ ქონია, კურიკულუმების შემნის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შეძლეს წარმოედგინათ საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ნათლად დაგვანახეს, რომ კურიკულუმის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ხდება წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილების აკუმულირება, მისი ასახვა და კურიკულუმის შემდგომი განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა თვლის, რომ აქვს სასკოლო კულტურა გამოიკვლიოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესები, საბაზო საფეხურზე, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს, მშობლები ერთვებიან სასწავლო პროცესში და მონაწილეობენ. გამოთქვამენ მზაობას, რომ სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევასა და გათვალისწინებას კურიკულუმების შედგენის პროცესში მიეცეს სისტემატიური ხასიათი, შეიმუშაონ ინტერესთა დასადგენი კითხვარები და მათი ანალიზის საფუძველზე დაიგეგმოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები. ვიზიტის პერიოდში, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ყოველწლიურად შეიქმნას ახალი კურიკულუმი სამივე საფეხურისთვის, რომლის ორიგინალურობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგადაა აქ ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. აღნიშნეს, რომ მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს გამოიყენებენ, მაგალითად, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ან მშობელი როგორც ორგანიზატორი, მასწავლებლები შეეცდებიან კომპლექსური დავალებების პირობა აღებული იყოს ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მისცენ მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი და ამით უზრუნველყონ მოსწავლეთა ინტერესიანი ჩართულობა კურიკულუმის კარგად დაგეგვმაში, რომელიც მიმდინარე სასწალო პროცესის წინაპირობაა.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ორიენტირებულია, რომ სკოლა განიხილებოდეს როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას და პიროვნული ზრდის მხარდაჭერას, ახალისებს მასწავლებელთა ინოვაციურ იდებსა და ასრულებს მამოტივირებელი ლიდერის როლს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საჯარო სკოლას მიაჩნია, რომ სასურველია, ტრადიციად აქციოს და ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნა დაიწყოს გასული სასწავლო წლის კურიკულუმების განხილვის, გასაახლებელ საკითხებზე მსჯელობის, პარალელური კლასის მასწავლებლების მიერ გამოცდილების გაზიარებისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის შემდეგ.

პედაგოგები თვლიან, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის გამოწვევა იყო კურიკულუმების მოდიფიცირება და შექმნა შემოთავაზებული სიახლეების მიხედვით, სკოლას არ ჰქონდა კომპლექსური დავალებებით მუშაობისა და კურიკულუმების შექმნის გამოცდილება და აცნობიერებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კურიკულუმების შემუშავების ციკლურ პროცესში, იღებენ პასუხისმგებლობას, რომ იქნებიან მთელი სასწავლო წლის მანძილზე პროცესში ჩართული, მიიღებენ მონაწილეობას კვლევებში, დაიგეგმება სხვადასხვა მიზნობრივი აქტივობები და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ არაფორმალური განათლების განვითარებას სკოლაში, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა იგრძნოს, რომ აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. შესაბამისად, კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია შემუშავებულია და შეთანხმებულია საკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმი გაზიარებულია საკოლო საზოგადოებისთვის, კურიკულუმის ელექტრონული ვერსია განთავსებულია სოციალურ ქსელში, აგრეთვე, საგნობრივი პროგრამები, აკადემიური კალენდარი, მასწავლებლებმა გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნეს,რომ კლასების ფეისბუქ ჯგუფებში ეტაპობრივად ქვეყნდება კონკრეტული კლასის სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი და საჭირო აქტივობები.

თუმცა, გამოწვევად რჩება სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ სივრცეში მასწავლებელთა განხორციელებული კურიკულუმების სრულყოფილად გაზიარება და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ყველა განახლებული კურიკულუმის ატვირთვას მშობელთა ჯგუფებში, რათა ნებისმიერმა დაინტერესებულმა მშობელმა თუ სასკოლო საზოგადოების წევრმა გაიზიაროს საგნობრივი კურიკულუმები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმა, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები და იმისათვის რომ ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს უკუკავშირის საშუალება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშეფასების განაცხადი*
- ✓ *კათედრის სხდომების ოქმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *ვერიფიკაციის მექანიზმი 2023-24*
- ✓ *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი*

შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ და შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება, როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშვებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას.

თუმცა, ზოგ კურიკულუმში არ არის ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, არ გვხვდება მოსწავლეთა რეფლექსიები, სადაც მოსწავლე აანალიზებს რა გამოუვიდა კარგად, რატომ და რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება რამაც წარმატება მოუტანა. ინტერვიუირების პროცესში, კათედრებმა გამოხატეს მზაობა მომავალი სასწავლო წლისათვის გაეთვალისწინებინათ აღნიშნული და გაემდიდრებინათ კონტექსტ-მაგალითებით კურიკულუმები. მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ აღნიშნული პირობა მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები იმსჯელოს, გააკეთოს დასვნა რაც უდაოდ გამოიწვევს მასში თვითკმაყოფილებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> სრულად გაიწეროს საბაზო საფეხურზე **მოქალაქეობის, ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები.** ყველა ცნება დამუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებებით, რადგან სამივე საგნის კურიკულუმებში ერთ ან ორ ცნებაზეა წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. კურიკულუმების დანერგვის დროს გამოყენებული იყოს იმაზე მეტად მრავალფეროვანი რესურსები, რაც ახლაა მოაზრებული

გეოგრაფიის კურიკულუმში გაიწეროს მაგალითები შედარებისთვის, მითითებული საკითხების და კონტექსტ მაგალითების უკეთ გასააზრებლად.

მოქალაქეობის კურიკულუმებში კონტექსტ მაგალითები უმეტესად სახელმძღვანელოებიდანაა წარმოდგენილი, კარგი იქნება თუ მასწავლებლები დაიხმარენ სიტუაციებს/ქეისებს/კონტექსტ მაგალითებს ქოუჩინგის პროცესში შეთავაზებული ქეისების ბანკიდან, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ საკითხების უკეთ გააზრებას.

<u>**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, იქ, სადაც ხორციელდება კომპლექსური დავალებები, უნდა შეიტანოთ ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>**სპორტის ექსპერტის რჩევა:**</u> ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, საჭიროა შემცირდეს თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგებს, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის საათობრივ ბადიდან გამომდინარე, სრულად განახორციელონ იმ თემების შესწავლა, რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.

2. საბაზო საფეხურის კათედრებზე შემუშავებული მატრიცებისგან აგებულია ისეთი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი , კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, საბუნებისმეტყველო კათედრაზე, დასაზუსტებელი აქვთ საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. აღნიშნულ კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები, რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობოსა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია, რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩარტულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ცვევენის ჩამოყალიბებასა და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> ინგლისური ენის მე-7 და მე-9 კლასისა და რუსული ენის მე-9 კლასის ჩარჩოებში, იმ თავებში, სადაც ხორციელდება კომპლექსური დავალებები, ნაკლებად იკვეთება ცნება „ კულტურათა დიალოგი“ . ასევე , კომპლექსური ბუნების მქონე დავალებით მუშავდება შერჩეული თემის მხოლოდ ნაწილი და არა სრულად თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად და არა მხოლოდ ნაწილი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, როგორც სახელმძღვანელოების ასევე სხვადასხვა ბმულებისა და ინტერნეტრესურსების სახით. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერის, პრეზენტაცის,ბუკლეტისა და მრავალი სხვა.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, სექტემბრიდან გეგმავენ სისტემატიურად ჩაატარონ სადიაგნოსტიკო წერები, რათა მოსწავლეთა ნამუშევრების შეგორვებისა და ანალიზის საფუძველზე შეძლონ მათი ძლიერი მხარის გამოვლენა და აღწერონ დინამიკის პროცესი: სად იყო მოსწავლე და სად მივიდა კონკრეტული ინტერვენციის პროცესში. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მოსწავლისათვის შეფასება უნდა იყოს დამაკვალიანებელი, რათა მოსწავლემ შეძლოს გაანალიზოს როგორ გააუჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.

განსაკუთრებით აღსანიშნია, სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, როგორც ფორმით ასევე შინაარსით. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ინტერესები და მასწავლებლებს შეუძლიათ კომპლექსური დავალების პირობის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების ეფექტიანობაზე, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით აფასებენ მოსწავლეთა ცოდნის დონის შესაბამისობას შესასწავლ ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამოხატეს ერთგვარი უკმაყოფილება მრავალრიცხოვანი კლასების გამო, ვინაიდან რთულად ეჩვენებათ მოსწავლეთა სოლო ტაქსონომიით შეფასება და მათთვის განმავითარებლი კომენტარის წერა. აცნობიერებენ, რა განმავითარებელი შეფასების აუცილებლობას, თვლიან რომ ახალი სასწავლო წლიდან სისტემატიურად იმუშავებენ აღნიშნული სირთულის დასაძლევად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა:</u> განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კრიტერიუმების და არა დონეების მიხედვით, როგორც წარმოდგენილია ჩართულობის შეფასების რუბრიკაში. აგრეთვე, საკლასო აქტივობის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში დონეები და შესაბამისი ქულები გაიწეროს და გადანაწილდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით/შესაბამისად.

მე-9 კლასის ისტორიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ცნებებს მინიჭებული აქვთ განსხვავებული ქულობრივი მაჩვენებელი, არ ჩანს რის საფუძველზე, აგრეთვე გასათვალისწინებელია რომ ქულების განაწილებას ცნებებზე ვიწყებთ 4 ქულის ზემოთ.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში მოაზრებული კომპლექსური დავალებებისათვის, აგრეთვე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ყველა თემის ბოლოს.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალ სასწავლო წელს გეგმავენ. კათედრებმა წარმოადგინეს სამოქმედო გეგმები, ურთიერთდასწრების გრაფიკი, სადაც განხილულია საკითხები: კურიკულუმების შემუშავება, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა, სასწავლო რესურსების შერჩევა კომპლექსური დავალებებისთვის და სხვ. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებიდან. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა შედეგებს და ა.შ. რომელიც ძირითადად დაფუძნებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *კომპლექსური დავალებები*
- ✓ *კათედრის სამუშაო გეგმა*
- ✓ *კათედრის ოქმები*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *სსსმ მოსწავლეთა გეგმები*
- ✓ *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1..სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილი გარემო უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას, როგორც ფიზიკური ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დაგეგმილი და განხორციელებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მთავარი აქცენტი კეთდება კეთებით სწავლაზე, რომელიც კომპლექსური დავალებების სხვადასხვა პროდუქტის შექმნაზეა დაფუძნებული. მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, ატარებენ ცდებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, სადაც მოსწავლეები აქტიურად ახორციელებენ პროექტებს, ასევე აღსანიშნავია, არაფორმალური განათლების მიმართულებით ჩატარებული აქტივობები/სპორტული ღონისძიებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი შეეცდება, რომ ყოველდღიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი და შინაარსობრივად შემეცნებიტი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ სხვადასხვა მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. შედეგად, მოსწავლე ინტერესით ერთვება მსჯელობაში, გამოთქვამს ვარაუდებს, ფიქრობს პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაზე. კურიკულუმებში მოცემული საკვანძო შეკითხვები, დავალებების კონტექსტს მაგალითები და სიტუაციური ქეისები ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით.

საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ცდებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომლითაც მოსწავლეს საშუალება იძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და გაანალიზოს ცდის შედეგები. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია, გაწერილი აქვთ ლაბორატორიის სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები. ლაბორატორიაში განთავსებულია სამივე საგნის შესწავლისათვის გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და ინვენტარი, თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მრავალრიცხოვანი კლასების გამო და მასწავლებელთა სიმრავლის გამო, ყველა მასწავლებელი ყველა გაკვეტილს ვერ ატარებს ლაბორატორიაში. გარდა ამისა, სკოლას არ აქვს რეაქტივები ქიმიის ცდების ჩასატარებლად, ლაბორატორიაში არ არის ონკანი და გამწოვი კარადა. მასწავლებლის თქმით, მას აქვს მოძრავი ლაბორატორია რომელიც მოაქვს საჭიროებისამებრ, რაიმე ცდის ჩატარება სურს. სხვა შემთხვევაში ატარებს მარტივ ცდებს: მაგალითად, სპილოს ხორტუმი და ფარაონის გველი. ძირითადად მოსწავლეები გაყავს ექსკურსიებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ესწრებიან სხვადასხვა ლაბორატორიულ სამუშაოებს.ფიზიკასა და ბიოლოგიაშიც მხოლოდ მშრალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვალსაჩინოებებით შემოიფარგლებიან. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შეიძინოს რეაქტივები და აღჭურვოს ოთახი ლაბორატორიისათვის აუცილებელი ინვენტარით. მასწავლებლებმა და ადმინისტრაციამ ვიზიტისას, წარმოადგინა განცხადება, რომლის საფუძველზეც სკოლა უახლოეს პერიოდში, სრულად შეიძენს აღნიშნულ ინვენტარს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. კომპლექსური დავალების პირობის გააზრება თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე. კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში კარგად იკვეთება რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ფაქტობრივ მასალას, სხვადასხვა წყაროებს, ინფორმაციას და იგროვებს ფაქტობრივ ანუ დეკლარატიულ ცოდნას. ამის შემდეგ ის იწყებს აზროვნებას როგორ შეასრულოს კომპლექსური დავალება, რა ნაბიჯები დაისახოს, როგორი თანმიმდევრობით და გამომიმუშაოს დავალების შესასრულებლად საჭირო უნარები, რას პროცედურული ცოდნის კლასიკური გამოვლინებაა. ამის შემდეგ კი იწყება პირობისეული ცოდნის გააქტიურება როდესაც მოსწავლე იწყებეს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, სტრატეგიების მოქმდებაში გადატანას, რესურსების მოძიებას, ინფორმაციის დამუშავებასა და გამოსავალის ძებნას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების პირობის შექმნასა და განხორციელებაში. მართალია, ვიზიტის პერიოდში კურიკულუმებში ყველა კომპლექსური დავალება არ იყო შევსებული, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებელბი აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას, ეტაპობრივად ყველა კომპლექსური დავალება მასზე იქნება ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნის ცოდნისა და გამოცდილების ორგანიზება და ინსტრუმენტად გარდაქმნა. სკოლა აღწერს, რომ მათთვის გამოწვევად რჩება მეტი ყურადღება მიექცეს საგანთა შორის კავშირებსა, ცოდნათა ინტეგრირებას და ურთიერთდაკავშირებას. ვიზიტის ფარგელბში მასწავლებლებმა ისაუბრეს აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზებზე და აპირებენ საგანთა ინტეგრირება კომპლექსური დავალებების პირობებში ასახონ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *უცხოური ენების სამოქმედო გეგმა*
- ✓ *მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები*
- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები*
- ✓ *განხორციელებული პროექტები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში და კომპლექსური დავალებების მატრიცებში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ, კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბი. სადამრიგებო საათის ფარგლებში ტარდება მრავალფეროვანი აქტივობები და განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები. აგრეთვე, მუშაობს მკითხველთა კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით იგეგმება კლუბის დაარსება და იმ მოსწავლეთა გაერთიანებას ვინც დაინტერესებულია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საფუძვლიანი შესწავლით. **მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში და სასწავლო პროცესში დაგეგმილ გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ამასთან, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, ეფექტურად განახორციელონ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და შემდგომ მოახდინონ რეფლექსია მათზე. მაგალითად, მათ სიღრმისეულად ისაუბრეს სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების კომპონენტზე და სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტზეც. მათ აქვთ სწორი ხედვა თუ რა უნდა შეფასდეს, რა ჩაითვლება მიზნის მიღწევის მაჩვენებლად, როგორ ახორციელებენ შეფასებას და როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება. ასევე ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები შეფასების აუცილებელ კომპონენტებად განიხილავენ დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას ახდენენ განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლების აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს, რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ , მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სამივე მიმართულებით განახორციელოს ვერიფიკაცია, კერძოდ:

- ✓ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას - შემაჯამებელი სამუშაოების 20 % ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენასა და შემუშავებული შეფასების რუბრიკების ვერიფიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ შეფასების პროცესის ვერიფიკაციას - შემაჯამებელი სამუშაოების 20 % წინასწარ შემუშავებული რუბრიკითა და გასაღებით განმეორებითი შეფასებას.
- ✓ მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაციას - ერთი და იმავე შემაჯამებელი სამუშაოების პირობებში შექმნილი ნამუშევრების დადებითი შედეგების საერთო რაოდენობის 10% პროცენტის, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებების სრულად შეფასებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით. მოსწავლეთა შეფასებები აღირაცხება ელექტრონულ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, კურიკულუმის, პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, შეფასების მასალების შენახვის წესი და ფორმა (ელექტრონული, მატერიალური) არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *საგაზო საფეხურის კურიკულუმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *დიფერენცირებული ტესტები*
- ✓ *შემაჯამებელი წერის ანალიზები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *მოსწავლეთა ნამუშევრები*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი მიმართულია მიმღებლობასა და მხარდაჭერაზე, კერძოდ, კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ და შშმ მოსწავლეებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმა ასახავს მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებებს, მშობელთა ჩართულობას, ახალი პროგრამების შემუშავებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან გასახორციელებელ ღონისძიებებს. კურიკულუმებში პრიორიტეტია სწავლების თანამედროვე მიდგომები რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპს ეფუძნება და ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, მიმდინარე კურიკულუმების მთავარი ორიენტირია მოსწავლის ინტერესები, არჩევითი დავალებების შეთავაზება, გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრინციპების გათვალისწინება. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით ინტერესების გამოსავლენად კითხვარების შედგენას და მათზე დაფუძნებით კურიკულუმების მოდიფიცირებას. აგრეთვე მშობლების კითხვარების პრაქტიკაში დანერგვას და არჩევითი საგნების შეთავაზებისას მშობელთა წერილობითი აზრის გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საბაზო საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, სადამრიგებლო სადამრიგებლო პროგრამა, ინდგეგმები) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიკური. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. პოზიტიური კლიმატის შექმნა სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მიმდინარე სასკოლო პროექტი კონფლიქტების მართვას, დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური დაავადებების შესახებ ინფორმირებას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს ემსახურება. სასკოლო საზოგადოებაში დანერგილია წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ ჩაატარა კვლევა სკოლის სტატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების დიდმა ნაწილმა და ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლამ დაადგინა, რომ მსგავსი ტიპის გამოკითხვებიის წარმოება საინტერესო გამოწვევაა და პრაქტიკაში უნდა დაინერგოს. შესაბამისად, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა გამოკითხვას და მათზე დაყრდნობით სასკოლო პროექტების შეთავაზებას, რაც თანამშრომლობასა და ურთიერთპატივიცემაზე დაფუძნებულ გარემოს ორგანიზებასა და შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირი*
- ✓ *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- ✓ *შინაგანაწესი*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება სკოლაში კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ნაწილობრივ გაწერილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას და ამ პროცესში ხარისხის ჯგუფისა და კათედრების აქტიურად ჩართვას, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მნიშვნელობა. ეს პროცესი პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. კათედრები სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო კომპლექსურ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. ამ პროცესში იკვეთება, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები ხელს შეუწყობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიურ პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტის, თემატური მატრიცის, "კრიტიკული მეგობრის" რეფლექსიის, მეორე სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროებს იყენებს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მრავალფეროვანი რუბრიკებით. მიმდინარე კურიკულუმები ეყრდნობა მასწავლებელთა , მოსწავლეთა თვითშეფასების, აგრეთვე ურთიერთშეფასების სქემებს, განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების რეფლექსიებს, კათედრების წლიურ ანგარიშებს და ანალიზს. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას, რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციას მოიპოვებს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ახალ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდებთან. სასურველია, მასწავლებელმა დაგეგმოს ინტერვენცია კლასის კლიმატის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, სწავლის პერიოდის, მოტივაციისა და მოსწავლეთა ინტერესების შესასწავლად, რათა სიტუაცია დაინახოს მრავალმხრივი კონტექსტიდან და შეძლოს მიზნობრივად შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლაში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები, ხარისხის ჯგუფი აწაროებს შეფასების ფორმებს და მათი ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცმების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფბთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული ინფორმაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზენების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშსეფასების შევსებული ფორმა*
- ✓ *კომპლექსური დავალებების ანალიზი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმებში ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა თუ რამ იმუშავა კარგად, ცუდად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეებში ინტერესი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. გამოიკვეთა კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომლის შერულებასაც კათედრები მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრებ,ა გამოთვეს მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს, როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები, რათა დაწერილი და განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმებიდან მხოლოდ რეალურად განხორციელებული ეხმარება მოსწავლეს, საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ ყველა იმ უნარის განვითარებაში, რას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშეფასების შევსებული ფორმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლას აღწერილი აქვს, რომ კათედრის წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით, კათედრის მუშაობის ანალიზით, მშობელთა გამოკითხვებით, ჩართულობითა და მიღწევებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულიმებს. საერთო მსჯელობის შემდეგ პარალელური კლასის მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ თემებს, გამოყოფენ საკითხებს და აკავშირებენ ცნებებს, საკითხებსა თუ ქვესაკითხებს, ჯერდებიან კომპლექსური დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებზე. ითვალისწინებენ მშობელთა, მოსწავლეთა და დირექციის მხრიდან გამოკვეთილ ინტერესებს, მაგალითად: მშობელთა ჩართულობა უშუალოდ სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა სურვილები კონკრეტული პროდუქტი სხვადასხვა საშუალებითა თუ სახით წარმოგვიდგინონ და შეაქვთ ცვლილება კურიკულიმებში, რათა გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სასწავლო პროცესი გახდეს მრავალფეროვანი.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კათედრების წევრთა ერთსულოვნება, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სიახლეებზე ორიენტირი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გასული სასწავლო წლის განმავლობაში კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრაქტიკა არ ქონია, კურიკულუმების შემნის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შეძლეს წარმოედგინათ საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ნათლად დაგვანახეს, რომ კურიკულუმის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ხდება წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილების აკუმულირება, მისი ასახვა და კურიკულუმის შემდგომი განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა თვლის, რომ აქვს სასკოლო კულტურა გამოიკვლიოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესები, საშუალო საფეხურზე, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს, მშობლები ერთვებიან სასწავლო პროცესში და მონაწილეობენ. გამოთქვამენ მზაობას, რომ სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევასა და გათვალისწინებას კურიკულუმების შედგენის პროცესში მიეცეს სისტემატიური ხასიათი, შეიმუშაონ ინტერესთა დასადგენი კითხვარები და მათი ანალიზის საფუძველზე დაიგეგმოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები. ვიზიტის პერიოდში, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ყოველწლიურად შეიქმნას ახალი კურიკულუმი სამივე საფეხურისთვის, რომლის ორიგინალურობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგადაა აქ ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს გამოიყენებენ, მაგალითად, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ან მშობელი როგორც ორგანიზატორი, მასწავლებლები შეეცდებიან კომპლექსური დავალებების პირობა აღებული იყოს ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მისცენ მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი და ამით უზრუნველყონ მოსწავლეთა ინტერესიანი ჩართულობა კურიკულუმის კარგად დაგეგვმაში, რომელიც მიმდინარე სასწალო პროცესის წინაპირობაა.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ორიენტირებულია, რომ სკოლა განიხილებოდეს როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას და პიროვნული ზრდის მხარდაჭერას, ახალისებს მასწავლებელთა ინოვაციურ იდებსა და ასრულებს მამოტივირებელი ლიდერის როლს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საჯარო სკოლას მიაჩნია, რომ სასურველია, ტრადიციად აქციოს და ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნა დაიწყოს გასული სასწავლო წლის კურიკულუმების განხილვის, გასაახლებელ საკითხებზე მსჯელობის, პარალელური კლასის მასწავლებლების მიერ გამოცდილების გაზიარებისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის შემდეგ.

პედაგოგები თვლიან, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის გამოწვევა იყო კურიკულუმების მოდიფიცირება და შექმნა შემოთავაზებული სიახლეების მიხედვით, სკოლას არ ჰქონდა კომპლექსური დავალებებით მუშაობისა და კურიკულუმების შექმნის გამოცდილება და აცნობიერებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კურიკულუმების შემუშავების ციკლურ პროცესში, იღებენ პასუხისმგებლობას, რომ იქნებიან მთელი სასწავლო წლის მანძილზე პროცესში ჩართული, მიიღებენ მონაწილეობას კვლევებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაიგეგმება სხვადასხვა მიზნობრივი აქტივობები და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ არაფორმალური განათლების განვითარებას სკოლაში, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა იგრძნოს, რომ აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.

შესაბამისად, კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია შემუშავებულია და შეთანხმებულია საკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმი გაზიარებულია საკოლო საზოგადოებისთვის, კურიკულუმის ელექტრონული ვერსია განთავსებულია სოციალურ ქსელში, აგრეთვე, საგნობრივი პროგრამები, აკადემიური კალენდარი, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ კლასების ფეისბუქ ჯგუფებში ეტაპობრივად ქვეყნდება კონკრეტული კლასის სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი და საჭირო აქტივობები.

თუმცა, გამოწვევად რჩება სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ სივრცეში მასწავლებელთა განხორციელებული კურიკულუმების სრულყოფილად გაზიარება და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ყველა განახლებული კურიკულუმის ატვირთვას მშობელთა ჯგუფებში, რათა ნებისმიერმა დაინტერესებულმა მშობელმა თუ სასკოლო საზოგადოების წევრმა გაიზიაროს საგნობრივი კურიკულუმები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმა, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები და იმისათვის რომ ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს უკუკავშირის საშუალება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშეფასების განაცხადი*
- ✓ *კათედრის სხდომების ოქმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *ვერიფიკაციის მექანიზმი 2023-24*
- ✓ *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ და შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება, როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშვებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას.

თუმცა,ზოგ კურიკულუმში არ არის ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, არ გვხვდება მოსწავლეთა რეფლექსიები, სადაც მოსწავლე აანალიზებს რა გამოუვიდა კარგად, რატომ და რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება რამაც წარმატება მოუტანა. ინტერვიუირების პროცესში, კათედრებმა გამოხატეს მზაობა მომავალი სასწავლო წლისათვის გაეთვალისწინებინათ აღნიშნული და გაემდიდრებინათ კონტექსტ-მაგალითებით კურიკულუმები. მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ აღნიშნული პირობა მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები იმსჯელოს, გააკეთოს დასვნა რაც უდაოდ გამოიწვევს მასში თვითკმაყოფილებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> გეოგრაფიის, ისტორიის და მოქალაქეობის კურიკულუმები გაიწეროს სრულად /გაწერილია ნაწილობრივ, თუმცა ქოუჩინგის შედეგად შექმნილ მე-12 რესურსში სამივე საგნის მასწავლებლებს აქვთ ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც 2023 წლის სექტემბრისთვის ყველა საგნის ყველა კლასის კურიკულუმი სრულად უნდა ყოფილიყო გაწერილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეოგრაფიის კურიკულუმში როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ გაწერილ გრაფებში დაემატოს მაგალითები შედარებისთვის. ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმებში ყურადღება მიექცეს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავებას.

2. საშუალო საფეხურის კათედრებზე შემუშავებული მატრიცებისგან აგებულია ისეთი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი , კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, საბუნებისმეტყველო კათედრაზე, დასაზუსტებელი აქვთ საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. აღნიშნულ კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები, რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობოსა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია, რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩარტულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ცვევენის ჩამოყალიბებასა და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა:</u> ინგლისური ენის მე-11 კლასის ჩარჩო არ არის სრულყოფილად შევსებული და არ ჩანს წლის მანძილზე გასავლელი ყველა თემა და მე-12 კლასის რუსული ენის ჩარჩოში, იმ თავში, სადაც ხორციელდება კომპლექსური დავალება, არ მუშავდება ცნება „ კულტურათა დიალოგი“. აღნიშნულთან დაკავშირებით, მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ ჩარჩოებში აისახოს წლის მანძილზე გასავლელი ყველა თემა და თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, როგორც სახელმძღვანელოების ასევე სხვადასხვა ბმულებისა და ინტერნეტრესურსების სახით. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერის, პრეზენტაცის,ბუკლეტისა და მრავალი სხვა.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, სექტემბრიდან გეგმავენ სისტემატიურად ჩაატარონ სადიაგნოსტიკო წერები, რათა მოსწავლეთა ნამუშევრების შეგორვებისა და ანალიზის საფუძველზე შეძლონ მათი ძლიერი მხარის გამოვლენა და აღწერონ დინამიკის პროცესი: სად იყო მოსწავლე და სად მივიდა კონკრეტული ინტერვენციის პროცესში. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მოსწავლისათვის შეფასება უნდა იყოს დამაკვალიანებელი, რათა მოსწავლემ შეძლოს გაანალიზოს როგორ გააუჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.

განსაკუთრებით აღსანიშნია, სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, როგორც ფორმით ასევე შინაარსით. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ინტერესები და მასწავლებლებს შეუძლიათ კომპლექსური დავალების პირობის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების ეფექტიანობაზე, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით აფასებენ მოსწავლეთა ცოდნის დონის შესაბამისობას შესასწავლ ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმართებაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამოხატეს ერთგვარი უკმაყოფილება მრავალრიცხოვანი კლასების გამო, ვინაიდან რთულად ეჩვენებათ მოსწავლეთა სოლო ტაქსონომიით შეფასება და მათთვის განმავითარებლი კომენტარის წერა. აცნობიერებენ, რა განმავითარებელი შეფასების აუცილებლობას, თვლიან რომ ახალი სასწავლო წლიდან სისტემატიურად იმუშავებენ აღნიშნული სირთულის დასაძლევად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>**საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა:**</u> საგნებში ისტორია და გეოგრაფია /საგან მოქალაქეობის მსგავსად/ გაიწეროს განმსაზღვრელი შეაფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმები მიმართული იქნება ცნებასა და შედეგების შეფასების ინდიკატორებზე. ასევე გაიწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საგანში.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალ სასწავლო წელს გეგმავენ. კათედრებმა წარმოადგინეს სამოქმედო გეგმები, ურთიერთდასწრების გრაფიკი, სადაც განხილულია საკითხები: კურიკულუმების შემუშავება, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა, სასწავლო რესურსების შერჩევა კომპლექსური დავალებებისთვის და სხვ. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებიდან. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა შედეგებს და ა.შ. რომელიც ძირითადად დაფუძნებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *კომპლექსური დავალებები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *კათედრის სამუშაო გეგმა*
- ✓ *კათედრის ოქმები*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *სსსმ მოსწავლეთა გეგმები*
- ✓ *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილი გარემო უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას, როგორც ფიზიკური ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დაგეგმილი და განხორციელებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მთავარი აქცენტი კეთდება კეთებით სწავლაზე, რომელიც კომპლექსური დავალებების სხვადასხვა პროდუქტის შექმნაზეა დაფუძნებული. მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, ატარებენ ცდებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, სადაც მოსწავლეები აქტიურად ახორციელებენ პროექტებს, ასევე აღსანიშნავია, არაფორმალური განათლების მიმართულებით ჩატარებული აქტივობები/სპორტული ღონისძიებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი შეეცდება, რომ ყოველდღიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი და შინაარსობრივად შემეცნებიტი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ სხვადასხვა მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. შედეგად, მოსწავლე ინტერესით ერთვება მსჯელობაში, გამოთქვამს ვარაუდებს, ფიქრობს პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაზე. კურიკულუმებში მოცემული საკვანძო შეკითხვები, დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონტექსტს მაგალითები და სიტუაციური ქეისები ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტის რჩევა:</u> დაიგეგმოს და განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი პროექტი და აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს სხვა ადამიანების პოზიციის გაცნობიერებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას, თანაგრძნობის გამოხატვას, საკუთარი ემოციების ამოცნობას და მართვას, ღირებულებებზე დაფიქრებას, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, პოზიტიურ კომუნიკაციას.

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით.

საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ცდებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომლითაც მოსწავლეს საშუალება იძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და გაანალიზოს ცდის შედეგები. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია, გაწერილი აქვთ ლაბორატორიის სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები.

ლაბორატორიაში განთავსებულია სამივე საგნის შესწავლისათვის გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და ინვენტარი, თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მრავალრიცხოვანი კლასების გამო და მასწავლებელთა სიმრავლის გამო, ყველა მასწავლებელი ყველა გაკვეტილს ვერ ატარებს ლაბორატორიაში. გარდა ამისა, სკოლას არ აქვს რეაქტივები ქიმიის ცდების ჩასატარებლად, ლაბორატორიაში არ არის ონკანი და გამწოვი კარადა. მასწავლებლის თქმით, მას აქვს მოძრავი ლაბორატორია რომელიც მოაქვს საჭიროებისამებრ, რაიმე ცდის ჩატარება სურს. სხვა შემთხვევაში ატარებს მარტივ ცდებს: მაგალითად, სპილოს ხორტუმი და ფარაონის გველი. ძირითადად მოსწავლეები გაყავს ექსკურსიებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ესწრებიან სხვადასხვა ლაბორატორიულ სამუშაოებს.

ფიზიკასა და ბიოლოგიაშიც მხოლოდ მშრალი თვალსაჩინოებებით შემოიფარგლებიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შეიძინოს რეაქტივები და აღჭურვოს ოთახი ლაბორატორიისათვის აუცილებელი ინვენტარით. მასწავლებლებმა და ადმინისტრაციამ ვიზიტისას, წარმოადგინა განცხადება, რომლის საფუძველზეც სკოლა უახლოეს პერიოდში, სრულად შეიძენს აღნიშნულ ინვენტარს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. კომპლექსური დავალების პირობის გააზრება თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე. კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში კარგად იკვეთება რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ფაქტობრივ მასალას, სხვადასხვა წყაროებს, ინფორმაციას და იგროვებს ფაქტობრივ ანუ დეკლარატიულ ცოდნას. ამის შემდეგ ის იწყებს აზროვნებას როგორ შეასრულოს კომპლექსური დავალება, რა ნაბიჯები დაისახოს, როგორი თანმიმდევრობით და გამომიმუშაოს დავალების შესასრულებლად საჭირო უნარები, რას პროცედურული ცოდნის კლასიკური გამოვლინებაა. ამის შემდეგ კი იწყება პირობისეული ცოდნის გააქტიურება როდესაც მოსწავლე იწყებს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, სტრატეგიების მოქმედებაში გადატანას, რესურსების მოძიებას, ინფორმაციის დამუშავებასა და გამოსავალის ძებნას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების პირობის შექმნასა და განხორციელებაში. მართალია, ვიზიტის პერიოდში კურიკულუმებში ყველა კომპლექსური დავალება არ იყო შევსებული, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებელბი აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას, ეტაპობრივად ყველა კომპლექსური დავალება მასზე იქნება ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნის ცოდნისა და გამოცდილების ორგანიზება და ინსტრუმენტად გარდაქმნა. სკოლა აღწერს, რომ მათთვის გამოწვევად რჩება მეტი ყურადღება მიექცეს საგანთა შორის კავშირებსა, ცოდნათა ინტეგრირებას და ურთიერთდაკავშირებას. ვიზიტის ფარგელბში მასწავლებლებმა ისაუბრეს აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზებზე და აპირებენ საგანთა ინტეგრირება კომპლექსური დავალებების პირობებში ასახონ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *უცხოური ენების სამოქმედო გეგმა*
- ✓ *მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები*
- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები*
- ✓ *განხორციელებული პროექტები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში და კომპლექსური დავალებების მატრიცებში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ, კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბი. სადამრიგებო საათის ფარგლებში ტარდება მრავალფეროვანი აქტივობები და განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები. აგრეთვე, მუშაობს მკითხველთა კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით იგეგმება კლუბის დაარსება და იმ მოსწავლეთა გაერთიანებას ვინც დაინტერესებულია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საფუძვლიანი შესწავლით. **მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში და სასწავლო პროცესში დაგეგმილ გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ამასთან, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, ეფექტურად განახორციელონ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და შემდგომ მოახდინონ რეფლექსია მათზე. მაგალითად, მათ სიღრმისეულად ისაუბრეს სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების კომპონენტზე და სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტზეც. მათ აქვთ სწორი ხედვა თუ რა უნდა შეფასდეს, რა ჩაითვლება მიზნის მიღწევის მაჩვენებლად, როგორ ახორციელებენ შეფასებას და როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება. ასევე ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები შეფასების აუცილებელ კომპონენტებად განიხილავენ დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას ახდენენ განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლების აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს, რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ , მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სამივე მიმართულებით განახორციელოს ვერიფიკაცია, კერძოდ:

- ✓ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას - შემაჯამებელი სამუშაოების 20 % ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენასა და შემუშავებული შეფასების რუბრიკების ვერიფიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ შეფასების პროცესის ვერიფიკაციას - შემაჯამებელი სამუშაოების 20 % წინასწარ შემუშავებული რუბრიკითა და გასაღებით განმეორებითი შეფასებას.
- ✓ მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაციას - ერთი და იმავე შემაჯამებელი სამუშაოების პირობებში შექმნილი ნამუშევრების დადებითი შედეგების საერთო რაოდენობის 10% პროცენტის, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებების სრულად შეფასებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით. მოსწავლეთა შეფასებები აღირაცხება ელექტრონულ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებებლი სამუშაოების, პორტფოლიოების, კურიკულუმის, პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, შეფასების მასალების შენახვის წესი და ფორმა (ელექტრონული, მატერიალური) არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *დიფერენცირებული ტესტები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *შემაჯამებელი წერის ანალიზები*
- ✓ *მოსწავლეთა ნამუშევრები*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი მიმართულია მიმღებლობასა და მხარდაჭერაზე, კერძოდ, კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ და შშმ მოსწავლეებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმა ასახავს მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებებს, მშობელთა ჩართულობას, ახალი პროგრამების შემუშავებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან გასახორციელებელ ღონისძიებებს. კურიკულუმებში პრიორიტეტია სწავლების თანამედროვე მიდგომები რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპს ეფუძნება და ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, მიმდინარე კურიკულუმების მთავარი ორიენტირია მოსწავლის ინტერესები, არჩევითი დავალებების შეთავაზება, გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრინციპების გათვალისწინება. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით ინტერესების გამოსავლენად კითხვარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედგენას და მათზე დაფუძნებით კურიკულუმების მოდიფიცირებას. აგრეთვე მშობლების კითხვარების პრაქტიკაში დანერგვას და არჩევითი საგნების შეთავაზებისას მშობელთა წერილობითი აზრის გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საშუალო საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, სადამრიგებლო სადამრიგებლო პროგრამა, ინდგეგმები) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიკური. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. პოზიტიური კლიმატის შექმნა სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მიმდინარე სასკოლო პროექტი კონფლიქტების მართვას, დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური დაავადებების შესახებ ინფორმირებას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს ემსახურება. სასკოლო საზოგადოებაში დანერგილია წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ ჩაატარა კვლევა სკოლის სტატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების დიდმა ნაწილმა და ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლამ დაადგინა, რომ მსგავსი ტიპის გამოკითხვებიის წარმოება საინტერესო გამოწვევაა და პრაქტიკაში უნდა დაინერგოს. შესაბამისად, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა გამოკითხვას და მათზე დაყრდნობით სასკოლო პროექტების შეთავაზებას, რაც თანამშრომლობასა და ურთიერთპატივიცემაზე დაფუძნებულ გარემოს ორგანიზებასა და შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირი*
- ✓ *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- ✓ *შინაგანაწესი*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება სკოლაში კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და შეფასების მექანიზმები ნაწილობრივ გაწერილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას და ამ პროცესში ხარისხის ჯგუფისა და კათედრების აქტიურად ჩართვას, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მნიშვნელობა. ეს პროცესი პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. კათედრები სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო კომპლექსურ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. ამ პროცესში იკვეთება, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები ხელს შეუწყობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის დოკუმენტაციის შესაწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიურ პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტის, თემატური მატრიცის, “კრიტიკული მეგობრის” რეფლექსიის, მეორე სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებით. გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *ინტერვიუ*
- ✓ *სკოლის თვითშეფასების ფორმა*
- ✓ *ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროებს იყენებს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მრავალფეროვანი რუბრიკებით. მიმდინარე კურიკულუმები ეყრდნობა მასწავლებელთა , მოსწავლეთა თვითშეფასების, აგრეთვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ურთიერთშეფასების სქემებს, განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების რეფლექსიებს, კათედრების წლიურ ანგარიშებს და ანალიზს. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას, რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციას მოიპოვებს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ახალ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდებთან. სასურველია, მასწავლებელმა დაგეგმოს ინტერვენცია კლასის კლიმატის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, სწავლის პერიოდის, მოტივაციისა და მოსწავლეთა ინტერესების შესასწავლად, რათა სიტუაცია დაინახოს მრავალმხრივი კონტექსტიდან და შეძლოს მიზნობრივად შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლაში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები, ხარისხის ჯგუფი აწაროებს შეფასების ფორმებს და მათი ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცმების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფბთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული ინფორმაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ : აკადემიური მოსწრება, შუალედური მიზენების სირთულე, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*
- ✓ *თვითშსეფასების შევსებული ფორმა*
- ✓ *კომპლექსური დავალებების ანალიზი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმებში ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა თუ რამ იმუშავა კარგად, ცუდად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეებში ინტერესი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. გამოიკვეთა კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომლის შერულებასაც კათედრები მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრებ,ა გამოთვეს მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს, როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები, რათა დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმებიდან მხოლოდ რეალურად განხორციელებული ეხმარება მოსწავლეს, საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ ყველა იმ უნარის განვითარებაში, რას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *თვითშეფასების შევსებული ფორმა*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....

22.11.2023
თარიღი








ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: